დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ-ქალაქ წალენჯიხის №2 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირინა დვალი

წევრები:

მზიანა ხორავა-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ნინო ბერიშვილი-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მაყვალა გრძელიშვილი-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მარინა თავართქილაძე-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
მარინე რეხვიაშვილი-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
გიორგი ჩაჩუა-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ხათუნა ქერაშვილი-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
შაქრო ჟღენტი-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტ
ქეთევან ქობალია-სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნათია კოხოძე -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. დვალი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-ქალაქ წალენჯიხის №2 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	242735821

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი წალენჯიხა
იურიდიული მისამართი	ზ. გამსახურდიას №1
ფაქტობრივი მისამართი	ზ. გამსახურდიას №1
საფოსტო ინდექსი	5200
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	ამ ეტაპზე არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tsalenjikha2@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	არ აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 5 23 0000909818, 20 ივლისი, 2023 წელი
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	31 აგვისტო-1 სექტემბერი, 2023 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

№	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ქალაქი წალენჯიხა, ზ. გამსახურდიას №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი წალენჯიხა, ზ. გამსახურდიას №1
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი წალენჯიხა, ზ. გამსახურდიას №1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 31 აგვისტოს-1 სექტემბერს ქალაქ წალენჯიხაში. პროცესში მონაწილეობა მიიღეს ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტებმა და საგნობრივმა ექსპერტებმა. ვიზიტამდე შედგა დისტანციური შეხვედრა ჯგუფის ყველა წევრთან. შეხვედრისას მონაწილეებმა ერთობლივად განიხილეს სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში, ისაუბრეს საერთო მოდგომებზე. ვიზიტის პერიოდში განათლების ექსპერტებმა იმუშავეს კომპეტენციის შესაბამის დოკუმენტაციაზე-I, III და IV სტანდარტებზე, ადგილზე დაათვალიერეს სკოლა, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა ადგილზე დაათვალიერა საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ ჩაატარა შესაბამისი საგნების პედაგოგებთან, ხოლო საგნობრივმა ექსპერტებმა ორივე დღის განმავლობაში დისტანციურად ჩაატარეს ინტერვიურება. საბოლოოდ ჩამოყალიბდა ანგარიში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **■ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: პ. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება **|** მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება **|** მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება **|** მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	**|** შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**| შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1	**|** შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 500	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	**აღწერა** ***(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)***
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
- საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
- საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი №1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი №		
სტანდარტი №3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი №4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი №		

სტანდარტი №2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი №		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი №1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი №		
სტანდარტი №3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
ინდიკატორი №3.1.2.3	პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას	სკოლამ ყველა იდენტიფიცირებულ თანამშრომელს უნდა მოსთხოვოს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ და უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ცნობების წარმოდგენა
ინდიკატორი №3.4.1.1.	სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა	სკოლამ უნდა წარმოადგინოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობის შესაბამისობის შესახებ დასკვნა. სკოლამ უნდა წარმოადგინოს აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ;

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

ინდიკატორი №3.5.1.3	სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას	სკოლამ უზრუნველყოს შენობაში ინკლუზიური გარემოს შექმნა: შენობის მეორე და მესამე სართულებზე ასასვლელად სკოლას უნდა ჰქონდეს პანდუსები
ინდიკატორი №3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სპორტულ დარბაზთან მისასვლელ დერეფანში სკოლამ უნდა მოაწყოს უსაფრთხო გარემო მოსწავლეებისათვის სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად
ინდიკატორები №3.6.3.5	ვებგვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა,პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები,	სკოლამ ვებპორტალზე უნდა განათავსოს მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად, კერძოდ: მისია, ხედვა და ღირებულებები; სტრუქტურა; პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები; ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია; სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები; მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, საკონტაქტო ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

	ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
სტანდარტი №4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი №		

სტანდარტი №2	**სასკოლო კურიკულუმი კურიკულუმის დასახელება)**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი №		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი №1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი №1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმის დამტკიცების პროცედურა განხორციელდეს ისე, როგორც მეთოდოლოგიაშია გაწერილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

სტანდარტი №3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი №3.3.1.2.	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად	სასურველია სკოლამ ცალკე ერთიანი დოკუმენტის სახით შეიმუშაოს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალისა და მათი უფრო დეტალური და სკოლასთან დაკავშირებული აღწერილობის შესახებ დოკუმენტი.
ინდიკატორი №3.4.1.6	სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა	მიზანშეწონილია სკოლამ წარმოდგენილი დოკუმენტი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ მოარგოს სკოლის სპეციფიკას.
ინდიკატორი №3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
ინდიკატორი №3.5.1.4	სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას	სასურველია, სკოლის ბიბლიოთეკა აღიჭურვოს კომპიუტერული ტექნიკით
ინდიკატორი №3.5.1.5	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები	სასურველია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია შეივსოს და გამდიდრდეს ფიზიკის, ბიოლოგიისა და ქიმიის სწავლებისათვის საჭირო ლაბორატორიული რესურსებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

ინდიკატორი №3.5.1.5	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები	მიზანშეწონილია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში დამონტაჟდეს ონკანი და გამწოვი
სტანდარტი №4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი №		

სტანდარტი №2	**სასკოლო კურიკულუმი** **დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი**	***რჩევა***
ინდიკატორი №2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოა მოსწავლეზე ორიენტირებული პრ დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სპორტში მე-3 და მე-4 კლასების კურიკულუმებში თემა ,,ტანვარჯიში" შეიცვალოს თემით: ,,ტანვარჯიშის ელემენტები".

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

სსიპ - წალენჯიხის მეორე საჯარო სკოლამ გაიზიარა და გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში გამოთქმული შენიშვნები და რჩევები, ამის საფუძველზე შეადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

1. პერსონალის პირად საქმეებში თანამშრომლებზე წარმოდგენილი არ იყო ცნობები ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“ და უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული „უფლების ჩამორთმევის შესახებ“. სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში თანამშრომლების მიერ აღნიშნული ცნობების წარმოდგენის ვადად განსაზღვრა 2023 წლის 3 ნოემბერი, ხოლო ამ საკითხზე პასუხისმგებელ პირად-სკოლის საქმისმწარმოებელი. ამდენად, ექსპერტებმა რეალისტურად მიიჩნიეს აღნიშნული აქტივობის განხორციელება და ინდიკატორი №3.1.2.3 შეაფასეს მეტწილად.

2. ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან სკოლის შენობა-ნაგებობის შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლამ აღნიშნული აქტივობის შესრულების ბოლო თარიღად განსაზღვრა 2024 წლის 30 სექტემბერი. ამდენად, ექსპეტებმა ინდიკატორი №3.4.1.1. შეაფასეს მეტწილად.

3. სკოლას შენობაზე არ ჰქონდა აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლამ აღნიშნული აქტივობის შესრულების ბოლო თარიღად განსაზღვრა 2024 წლის 30 სექტემბერი. ამდენად, ექსპეტებმა ინდიკატორი №3.4.1.1. შეაფასეს მეტწილად.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის გათვლილი ინკლუზიაზე, რადგან მეორე და მესამე სართულებზე ასასვლელად სკოლას არ აქვს მოწყობილი პანდუსები, არც პირველ სართულზე არ შეუძლია მოსწავლეს ყველა სერვისის მიღება. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლამ ინკლუზიური გარემოს მოწყობის- შესაბამისი პანდუსებით სკოლის უზრუნველყოფის ბოლო თარიღად განსაზღვრა 2024 წლის 30 სექტემბერი. ამდენად, ექსპეტებმა ინდიკატორი №3.5.1.3. შეაფასეს მეტწილად.

5. სკოლის სპორტულ დარბაზთან მისასვლელი დერეფანი არ არის უსაფრთხო გარემო მოსწავლეებისათვის სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად: დერეფანში შესასვლელი კედელი ჩამონგრეულია, კედლებზე ჩამოშვებულია განათების ხაზები. სკოლამ შესაბამისობის გეგმაში აღნიშნა, რომ სკოლა სპორტულ დარბაზთან მისასვლელ დერეფანში უსაფრთხო გარემოს შექმნას სკოლა საკუთარი ბიუჯეტით უზრუნველყოფს 2024 წლის 30 აპრილამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

6. ვიზიტის დროს სკოლა ახალი ჩართული იყო skolebi.emis.ge-ს პორტალში, სადაც ჰქონდა მოქმედი ქართულენოვანი გვერდი, თუმცა არასაკმარისი ინფორმაციით. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლის საინფორმაციო მენეჯერი 2023 წლის 5 დეკემბრამდე ასახავს მასზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაციას. ამდენად, ექსპერტებმა ინდიკატორი №3.6.3.5 შეაფასეს მეტწილად.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისიაა სკოლაში შეიქმნას ინკლუზიური და დინამიური სასწავლო გარემო, სადაც თითოეულ ინდივიდს შეეძლება ჩამოყალიბდეს გლობალურ მოქალაქედ. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილებით დამტკიცებულ „ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

2. სკოლის მისია და ხედვა უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის ჩამოყალიბებაზე აკეთებს აქცენტს. სკოლის ხედვაა შეიქმნას ისეთი სასწავლო გარემო, სადაც თითოეული მოსწავლე განივითარებს ცოდნის სამივე კატეგორიას (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული) და შეძლებს საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენას, ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოებას, სკოლებსა და თემს/თემებს შორის თანამშრომლობას.

3. სკოლის მისია და ხედვა შეიმუშავა სკოლაში შექმნილმა ჯგუფმა, რომელშიც მონაწილეობდნენ მასწავლებლები, სამეურვეო საბჭოს წევრები, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი. ამდენად, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განხილულია როგორც პედაგოგიური საბჭოს, ასევე სამეურვეო საბჭოს სხდომებზე. კოლეგიური ორგანოები წარმომადგენლობითი ხასიათისაა, შესაბამისად, უზრუნველყოფილია მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოების მხრიდან.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სკოლის შენობაში საჯაროდ ხელმისაწვდომ ადგილზეა განთავსებული.

6. სკოლის სახელწოდება (სსიპ- ქალაქ წალენჯიხის №2 საჯარო სკოლა) შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ წალენჯიხის №2 საჯარო სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა;
- სსიპ - ქალაქ წალენჯიხის №2 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის სამეურვეო საბჭოსა და პედსაბჭოს შეხვედრების ამსახველი მასალა.
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 18 აგვისტოს №2-66 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის დირექტორის 2023 წლის 18 აგვისტოს №2-66 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმები, კერძოდ: სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში ჩართულნი იქნებიან დირექციის წარმომადგენელი, მასწავლებელი, საშუალო საფეხურის მოსწავლე, მშობელი, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და თემის წარმომადგენელი; გაკეთდება SWOT ანალიზი. მონაცემებს დაამუშავებს ბრძანებით შექმნილი ჯგუფი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: პ. ფკალი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. დაწესებულების მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმა შვიდწლიანია. იგი აერთიანებს შვიდ სტრატეგიულ მიზანს: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსების განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა; მოსწავლეთა მხარდამჭერი ღონისძიებების გაუმჯობესება; ორგანიზაციული განვითარება. თითოეული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, სტრატეგიული განვითარების გეგმა განსაზღვრავს ამოცანებს, განხორციელების ვადებს, შესრულების ინდიკატორებს, რესურსებს და პასუხისმგებელ პირებს. ამოცანები სტრატეგიული მიზნების შესასრულებლად არის განსაზღვრული.

3. სკოლას შემუშავებული აქვს და დირექტორის ბრძანებით (№2-86, 1 სექტემბერი, 2023) დამტკიცებულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომელსაც თავის მხრივ, საფუძვლად უდევს სკოლის swot ანალიზი.

რჩევა-სკოლის განვითარების სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სტრატეგიული სამუშაო გეგმა თანხმდება სკოლის სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ. წალენჯიხის მეორე საჯარო სკოლის 7-წლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმის დოკუმენტზე აწერია, რომ იგი განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, ასევე არსებობს სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლის 7-წლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ.,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, პედსაბჭო ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხას.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმის დამტკიცების პროცედურა განხორციელდეს ისე, როგორც მეთოდოლოგიაშია გაწერილი ან შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს.

4. სამოქმედო გეგმა, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, განსაზღვრავს აქტივობებს, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია 2024 წლის აგვისტოს ჩათვლით. სამოქმედო გეგმა მოიცავს ინფორმაციას განხორციელების ვადების, შესრულების ინდიკატორების, განსახორციელებლად აუცილებელი რესურსების, პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურული ერთეულების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სკოლის რესურსების გათვალისწინებით სამოქმედო გეგმა რეალისტურია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრაგეტიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

- სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დირექტორის ბრძანებით იქმნება დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებაზე (სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განხორციელდება ყოველი წლის იანვარში, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი განხორციელდება შემუშავებიდან 3-4 წლის შემდეგ.). ჯგუფის მიერ ხდება ინფორმაციის შეგროვება. მონიტორინგი განხორციელდება დოკუმენტების, სტრუქტურული ერთეულების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშების, ანკეტირების საფუძველზე, ხდება ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი სტრატეგიულ მიზნებთან და ამოცანებთან მიმართებით და დგინდება, რამდენად შეესაბამება განხორციელებული საქმიანობა სტრატეგიული მიზნის შესრულებას. შეფასების შედეგები ჯგუფის მიერ წარედგინება სკოლის დირექტორს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სამოქმედო გეგმის განვითარებისთვის.
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, ამდენად, კრიტერიუმის შესრულების დადასტურება კონკრეტული უკუკავშირის მაგალითზე ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან არ ყოფილა გამოთხოვილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

3. სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები ჯერ წარმოდგენილი არ არის, რადგან სკოლა პირველად არის ავტორიზაციის პროცესში, შესაბამისად, გეგმის შედეგების საჯაროობა ვერ იქნება უზრუნველყოფილი. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში სკოლა აღნიშნავს, რომ გეგმის შედეგებს გამოაქვეყნებს ვებგვერდზე.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, გამოყენებული იქნება სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. კერძოდ, მონიტორინგის და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, დაგეგმილია მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრუქტურა განსაზღვრულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საჯარო სკოლის წესდების შესაბამისად, საჯარო სკოლებისთვის დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით და მოიცავს დირექციას, სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიურ საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, სკოლის დისციპლინურ კომიტეტს. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები. სხვა პერსონალის ფუნქციები აღწერილია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში-,,სტრუქტურული პირების ფუნქციების აღწერა“. სკოლაში ფუნქციები გადანაწილებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს მის ეფექტურ ფუნქციონირებას.
2. როგორც აღინიშნა, სკოლის სტრუქტურა შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლის ფუნქციონირება უზრუნველყოფილია პედაგოგიური საბჭოს, დირექტორის, სამეურვეო საბჭოს შორის სკოლის მართვის სფეროში ფუნქციების გათვალისწინებით. ამასთან, სკოლის საშტატო განრიგის შესაბამისად, სკოლაში დასაქმებულები არიან სხვა თანამშრომლებიც (ბუღალტერი, სპეციალური მასწავლებლები, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი, დარაჯი, ცეცხლფარეში, დაცვის თანამშრომელი და ა.შ.), რომელთა შორის ფუნქციების გადანაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წესდება;
- სკოლის პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის საშტატო განრიგი;
- სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: პ. ფკალი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- სტრუქტურული პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება კანონმდებლობისა და სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციის შესაბამისად. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს რამდენიმე ეტაპს: თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების ფორმირებას პოზიციების მიხედვით, კადრების მოზიდვის და შერჩევის პროცედურას, კონკურსის ჩატარებისა და გასაჩივრების წესებს, ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისთვის განსახორციელებელ აქტივობებს, პროფესიული განვითარების მექანიზმებს, პერსონალის მუშაობის შეფასების მექანიზმებს, ხელშეკრულების შეწყვეტის პროცესებს და ა.შ.
2. საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის საკითხები სკოლას გაწერილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტსა და სკოლის შინაგანაწესში. დაწესებულება იცავს კანონმდებლობით დადგენილ მოთხონებს. შინაგანაწესით სკოლას განსაზღვრული აქვს დისციპლინური გადაცდომების შემთხვევებში შესაბამისი პროცედურები და პასუხისმგებლობის სახეები, განსაზღვრულია წახალისების სისტემა. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასება უზრუნველყოფილია „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის“ მუშაობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

3. დაწესებულება ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“, შიდა რეგულაციით-,,ადამიანური რესურების მართვის პოლიტიკა“. სკოლაში, საჭიროების შემთხვევაში, იქმნება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაში, სკოლის წარმომადგენლების გარდა, ჩართული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგნობრივი ექსპერტი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საგნობრივი ექსპერტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის - წარმომადგენელი, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის წარმომადგენელი და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი. ვაკანსიის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ვებგვერდზე: https://teacherjobs.ge/ შესაბამისი ვადების დაცვით. კონკურსი ჩატარდა ობიექტურობის, გამჭვირვალობის, საჯარობის, კოლეგიალურობის და კორექტურობის პრინციპების დაცვით. კონკურსით შერჩეულ პირებთან სკოლის ადმინისტრაციამ გააფორმა შესაბამისი ხელშეკრულება, „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების“ და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ ყველა მასწავლებელს არ ჰქონდა წარმოდგენილი ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ, ასევე უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ცნობები.

რეკომენდაცია: სკოლა ვალდებულია თანამშრომლებს მოსთხოვოს ჩამოთვლილი ცნობების წარმოდგენა. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნა, რომ 3 ნოემბრამდე საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს იდენტიფიცირებული თანამშრომლების მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენას.

4. სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მასწავლებლების პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ისინი აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ექიმს აქვს მინისტრების 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრული კვალიფიკაცია.

5. გარდა იმისა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები, სხვადასხვა მნიშვნელოვანი გადაწვეტილების მიღების/ამოცანის გადაწყვეტის შემთხვევაში, სკოლაში იქმნება სამუშაო ჯგუფები. მაგალითისათვის, სკოლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავება უზრუნველყო სამუშაო ჯგუფმა. მენეჯმენტთან, ასევე, თანამშრომლებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: პ. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გასაუბრებისას მათ ხაზი გაუსვეს, რომ სხვადასხვა ნიშვნელოვანი საკითხის განხილვაში აქტიურად მონაწილეობს სკოლის პერსონალი, სამუშაო ჯგუფების ფორმატით.

6. სკოლაში მოქმედებს პერსონალის წახალისების სისტემა. სკოლის შინაგანაწესის მუხლი 10-ში ჩამოყალიბებულია წახალისების სახეები და გამოყენების წესი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- თანამშრომელთა წახალისების შესახებ ბრძანებები;
- მასწავლებლების აყვანის მიზნით სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები და საკონკურსო კომისიის მუშაობის ამსახველი ოქმები;
- სკოლის პერსონალის პირადი საქმეები;
- თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მასწავლებლის საქმიანობის შეფასების მიზნით ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ საფუძველზე შემუშავებული ხარისხის ჯგუფის დებულებით განსაზღვრული წესით, რომელიც ითვალისწინებს მასწავლებლებს შორის საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენას. სკოლაში დადგენილი წესის მიხედვით ფასდება მასწავლებლის საქმიანობა. სკოლის მიერ შემუშავებულ ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტის მეოცე მუხლი ითვალისწინებს თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების პრინციპებს.
2. სკოლის ხარისხის ჯგუფის დებულება ითვალისწინებს პროფესიული განვითარების საჭიროების დადგენას და გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით - პროფესიული განვითარების გეგმის დადგენას. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს პერსონალის მუშაობის შეფასებას.
3. სკოლის ხარისხის ჯგუფის მუშაობა ემსახურება მასწავლებლის კარიერული ზრდის ხელშეწყობას.
4. სკოლის მიზანია, ხელი შეუწყოს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. ამ მიზნით სკოლის მიერ შემუშავებულ ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში გაწერილია ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის ფორმები სამუშაო გარემოსთან;
5. სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარება, განსაზღვრულია მატერიალური და არამატერიალური წახალისების სახეები, არსებობს შესაბამისი პრეცედენტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: პ. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბუნებისმეტყველო საგნების კათედრის ურთიერთდასწრების ოქმი
- ხარისხის ჯგუფის დებულება
- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის თანამშრომელთა წახალისების მიზნით გამოცემული ბრძანებები
- სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები, ქვეპროცესები. ამავე ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის ნაწილია ასევე ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის მიერ განხორციელებული საქმიანობა.
2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების შესახებ.
რჩევა: სკოლამ ცალკე ერთიანი დოკუმენტის სახით შეიმუშაოს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალისა და მათი უფრო დეტალური და სკოლასთან დაკავშირებული აღწერილობის შესახებ დოკუმენტი.
3. სკოლაში საჩივრების განხილვის საკითხებს არეგულირებს სკოლის შინაგანაწესი. საჩივრების განხილვაზე პასუხისმგებელია დისციპლინური კომიტეტი, რომელიც საქმიანობს შინაგანაწესის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად. საჩივრების განხილვის სისტემა მოიცავს საჩივრის რეგისტრაციას, დისციპლინური კომიტეტის მიერ საკითხის განხილვას და მიღებული გადაწყვეტილების სკოლის დირექტორისათვის გადაცემას. დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანება ექვემდებარება გასაჩივრებას სამეურვეო საბჭოში.
4. სკოლის შინაგანაწესში გათვალისწინებული საჩივრების განხილვის წესი და პროცედურა ემსახურება სკოლის პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვას.
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- სკოლის შინაგანაწესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში მენეჯმენტსა და სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაცია ეფექტურად ხორციელდება. როგორც წესი, სხვადასხვა გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით იქმნება სამუშაო ჯგუფები. ასევე, სკოლის ადმინისტრაცია რეგულარულად აწვდის ინფორმაციას სკოლის მართვასთან დაკავშირებული პროცედურებისა და სიახლეების შესახებ სასკოლო საზოგადოებას და მათგან იღებს უკუკავშირს.
2. სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო და სამეურვეო საბჭო, შესაბამისად, უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების მონაწილეობა სკოლის მართვის ორგანოებში. სკოლაში ასევე შექმნილია მოსწავლეთა თვითმმართველობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის საქვეუწყებო სამსახურთან - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სკოლის შენობა აღჭურვილია საევაკუაციო გეგმებით და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით (სამივე სართულზე 2-2 ცეცხლმაქრი, პირველ სართულზე-სახანძრო დაფა). სკოლაში ასევე პირველ სართულზე ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, დასაქმებულია ერთი ექიმი, რომლის კვალიფიკაციაც აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებულ მოთხოვნებს: უზრუნველყოფილია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა, ასევე, პირველადი დახმარების აღმოჩენა.

ვიზიტის დროს: ა) სკოლამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.

ბ) აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ;

გ) სკოლის სპორტულ დარბაზთან მისასვლელი დერეფანი არ იყო უსაფრთხო მოსწავლეებისათვის სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად, რადგან დერეფანში შესასვლელი კედელი გამონგრეულია, კედლებზე ჩამოწეულია განათების ხაზები.

რეკომენდაცია: ა) სკოლამ უნდა წარმოადგინოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.

ბ) სკოლამ უნდა წარმოადგინოს აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ;

გ) სკოლამ სპორტულ დარბაზთან მისასვლელ დერეფანში უნდა შექმნას უსაფრთხო გარემო მოსწავლეებისათვის სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად: დერეფანში შესასვლელი ჩამონგრეული კედელი სულ მოიხსნას, კედლებზე ჩამოწეული განათების ხაზები შეიფუთოს,

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნა, რომ სკოლის დირექტორი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორთან ერთად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით 2024 წლის 30 სექტემბრამდე წარმოადგენს დასკვნებს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ, ხოლო სკოლის სპორტულ დარბაზთან მისასვლელი დერეფანში უსაფრთხო გარემოს შექმნას სკოლა საკუთარი ბიუჯეტით უზრუნველყოფს 30.04. 2024- მდე.

რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

2. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადი წესით. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მანდატურის სამსახურთან. სკოლას ჰყავს ორი მანდატური.

3. სკოლის მასწავლებლებთან და დამრიგებლებთან, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარესთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს, რაზეც ზრუნავენ დამრიგებლები, საგნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

მასწავლებლები, დირექცია. სკოლაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოიყენება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის და პირობების დოკუმენტი.

4. სკოლის სველი წერტილები უზრუნველყოფილია წყლით, ხელსახოცებით და თხევადი საპნით. სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია ანტიბაქტერული ხსნარის დისპენსერები. სანიტარულ - ჰიგიენური ნორმები დაცულია სკოლის შენობაში.

5. სკოლაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, რომელიც შემუშავებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. პროცესშიც იყო დაცული პერსონალური ინფორმაცია (ავტორიზაციის პროცესში, ასევე, სხვა მიზნებისთვის).

6. სკოლას ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული აქვს ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ წარმოდგენილი დოკუმენტი მოარგოს სკოლის სპეციფიკას.

7. სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, ამდენად, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან მოთხოვნილი არ ყოფილა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, იგეგმება შესაბამისი გამოკითხვების წარმოება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.
- ხელშეკრულება მანდატურის სამსახურთან
- ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.
- ანგარიშფაქტურები ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის შეძენაზე
- პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები,

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: პ. ფკილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1.სკოლა მდებარეობს ქალაქ წალენჯიხაში, გამსახურდიას ქუჩა №1-ში. საჯარო რეესტრის ამონაწერით, შენობის მესაკუთრეა სახელმწიფო, ხოლო მოსარგებლე სსიპ- ქალაქ წალენჯიხის №2 საჯარო სკოლა უვადო სარგებლობით. სკოლის მიწის ფართი მოიცავს 7382 კვ.მ. სადაც განთავსებულია სკოლის შენობა №1 (1848,51 კვ.მ.). შენობა სამსართულიანია. რეესტრის მიხედვით, სკოლის მფლობელობაშია კიდევ 5 შენობა- ნაგებობა ეზოში, რომლებიც არ ფუნქციონირებს. გაუქმებულია. სკოლაში საკლასო ოთახებია, ასევე სხვადასხვა ფუნქციური ოთახი, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, რომელიც საჭიროებს სერიოზულ რემონტს, ასევე მასთან მისასვლელი დერეფნის კედლის ნაწილი გამონგრეულია და არაა უსაფრთხო. საკლასო ოთახები აღჭურვილია მერხებით, სკამებით, დაფებით, თაროებით, კარადებით.

2. სკოლაში სამუშაო სივრცეები მოწყობილია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის: დირექტორის ოთახი, სამასწავლებლო, რესურსოთახი, მანდატურის ოთახი, ექიმის ოთახი, კანცელარია, სველი წერტილები. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა.

3. სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის გათვლილი ინკლუზიაზე, რადგან, მართალია, სკოლის პირველ სართულზე შესასვლელად გაკეთებულია ბუნებრივი პანდუსი, მაგრამ მეორე და მესამე სართულებზე ასასვლელად სკოლას არ აქვს მოწყობილი პანდუსები, არც პირველი სართულზე არ შეუძლია მოსწავლეს ყველა სერვისის მიღება.

რეკომენდაცია: სკოლამ შენობის ინფრასტრუქტურა უნდა გათვალოს ინკლუზიაზე და მეორე და მესამე სართულებზე ასასვლელად მოაწყოს პანდუსები. სსსმ მოსწავლისთვის ადაპტირებული სველი წერტილი მოწყობილია პირველ სართულზე.

სკოლაში მუშაობს 2 სპეცმასწავლებელი და 1 ასისტენტი, რომლებიც ემსახურებიან სკოლის 16 სსსმ მოსწავლეს, მოწყობილია რესურსოთახი, აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით. სკოლას გამოცხადებული აქვს ვაკანსია მეტყველების თერაპევტის. სკოლა ასევე გეგმავს კიდევ ერთი ასისტენტის აყვანას, რადგან პირველ კლასში რეგისტრირებულია აუტისტური სპექტრის მოსწავლე.

4. სკოლაში არის 1 კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სკოლის ეზო და სხვ, რაც ქმნის შესაძლებლობებს, რომ მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან. სკოლაში ფუნქციონირებს კეთილმოწყობილი სასკოლო ბიბლიოთეკა.

რჩევა: სასურველია, სკოლის ბიბლიოთეკა აღიჭურვოს კომპიუტერული ტექნიკით.

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმებით განსაზღვრული საჭირო რესურსები: სკოლის საკლასო ოთახები აღჭურვილია ინვენტარით: მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი მერხებით, მასწავლებლის მაგიდითა და სკამებით, დაფებით, კარადებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: პ. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სკოლაში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერით, პროექტორით, კარადებში ინახება მარკირებული ქიმიური რეაქტივები (კარადის კარები იკეტება და დაცულია), მოდელები, მულაჟები, პლაკატები და სხვა აღჭურვილობა. ლაბორატორიაში გაკრულია ქცევის წესები. სკოლას წარმოდგენილი აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არსებული რესურსების ჩამონათვალი, რაც შეესაბამება რეალობას, თუმცა
მწირია და საჭიროებს შევსებას.

რჩევა: მიზანშეწონილია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში დამონტაჟდეს ონკანი და გამწოვი.

სასურველია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია შეივსოს და გამდიდრდეს ფიზიკის, ბიოლოგიისა და ქიმიის სწავლებისათვის საჭირო ლაბორატორიული რესურსებით.

სკოლას შეძენილი აქვს სპორტული ინვენტარი. სკოლა ასევე სარგებლობს ეზოს ღია სპორტული მოედნით. სპორტულ მოედანზე არის კალათბურთის ფარები, ფრენბურთის ბადე.

ბიბლიოთეკაში საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული სასკოლო გრიფირებული სახელმძღვანელოებია, აღრიცხული და დამუშავებული საბიბლიოთეკო პრინციპით. მოქმედებს მშობელთან ხელშეკრულებები, წიგნების მიღება-ჩაბარების დოკუმენტები.

ინვენტარიზაციის აქტის მიხედვით, სკოლის მფლობელობაშია 402 მერხი, 47 დაფა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარიზაციის აქტი
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- სპეცმასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ფკილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფუნქციონირებს 1 კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია 6 კომპიუტერი მოსწავლეთათვის და 1 - მასწავლებლისათვის. გარდა ამისა, სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტთან, რომლის ფარგლებშიც სკოლაში ფუნქციონირებს კოდინგის სკოლა 1500 ქალისთვის. პროექტის ფარგლებში ლაბორატორიაში განთავსებულია 10 კომპიუტერი. სულ სკოლას შეძენილი აქვს 16 კომპიუტერი, ასევე 6 პროექტორი, პრინტერები.
2. სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას როგორც მოსწავლეების, ასევე პერსონალისათვის. კომპიუტერები განთავსებულია დირექტორის ოთახში, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიაში 1 კომპიუტერი და პროექტორი, სამასწავლებლოში- 1, კანცელარიაში-1, რესურსოთახში-1, დაწყებითების დამრიგებლებს 6 ნოუთბუქი. არასაგაკვეთილო პროცესისათვის განკუთვნილი კომპიუტერული ლაბორატორია არის როგორც მოსწავლეების, ასევე სასკოლო საზოგადოების სხვა წევრთა სარგებლობაში. მოსწავლეთა თვითმმართველობა თავის საქმიანობას წარმართავს კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ასევე დირექტორის ბრძანების შემუშავებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელშიც განსაზღვრულია ლაბორატორიით სარგებლობის წესი, ასევე ციფრული განვითარების გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების ერთწლიანი გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობასა და განვითარებას.
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარიზაციის დოკუმენტი
- ციფრული განვითარების ერთწლიანი გეგმა
- მემორანდუმი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტთან
- მატერიალური რესურსებითი სარგებლობის წესი,

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს საქმისწარმოების წესი, შემუშავებული მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით სკოლას ჰყავს საქმისმწარლებელი, რომლის ფუნქციები გაწერილია.
2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (Eflow) სისტემით; ასევე სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, კერძოდ: eSchool.emis.ge, office 365.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

3. სკოლას ასევე აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; მას სრულყოფილად აქვს ასახული ინფორმაცია, კანონმდებლობის დადგენილი წესით;
4. სისტემების შესწავლით დგინდება, რომ სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ №2-27, 16.05.2022
- Eflow-ს სისტემა; eSchool.emis.ge, office 365

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებგვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ფკალი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაცისთვის სკოლას აქვს თავისი გვერდი პორტალზე: https://skolebi.emis.ge. სკოლა საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ და ინფორმაციის მისაწოდებლად იყენებს შესაბამის facebook გვერდსაც. გარდა ამისა, სკოლას აქვს შენობაში საინფორმაციო დაფა ინფორმაციის გასავრცელებლად. აწყობს შეხვედრებს მშობლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან როგორ დისტანციურ, ასევე პირდაპირ რეჟიმში.
2. პორტალზე ამ ეტაზე განთავსებული არ არის სკოლის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია. სკოლას აქვს სოციალურ ქსელში თავისი გვერდი, სადაც ვრცელდება სკოლის შესახებ ინფორმაცია, რაზეც სკოლას განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი.
3. ინტერვიუთი იკვეთება, რომ ვებგვერდის საშუალებით საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა გამოიყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. ვებგვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულენოვანი.ქართულ ენაზე.
5. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია სკოლის შესახებ არ არის სრულყოფილი: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

რეკომენდაცია: სკოლამ პორტალის skolebi.emis.ge-ს საკუთარ გვერდზე უნდა ასახოს სრული ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: პ. ფკალი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.
შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლა გეგმავს 2023 წლის 5 დეკემბრამდე პორტალის საკუთარ გვერდზე სკოლის შესახებ სრული ინფორმაციის განთავსებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
https://www.facebook.com/profile.php?id=100052426481523
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება დაგეგმილია სკოლის ფინანსური რესურსების გამოყენებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

2. სკოლის ბიუჯეტის დაგეგმვა, სკოლის წარმომადგენლების განმარტებით ხორციელდება სამუშაო ჯგუფის მიერ. იგეგმება შემოსავლები და ხარჯები, ბიუჯეტის პროექტი განიხილება სამეურვეო საბჭოს მიერ, რომელიც ამტკიცებს მას. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ბიუჯეტში ცვლილების შეტანა (მოსწავლეთა რაოდენობის ცვლილება და სხვა ობიექტური გარემოებები).

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-ქალაქ წალენჯიხის №2 საჯარო სკოლის შინაგანაწესი უზრუნველყოფს მოსწავლის უფლებების დაცვას. გარდა ამისა, სკოლა უსაფრთხოების ნაწილში მოქმედებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ შესაბამისად. მანდატურები სკოლაში ზრუნავენ მოსწავლეებზე მათი უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. ვიზიტის დროს სკოლის შინაგანაწესი გამოკრული იყო სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომი იყო სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება გასაჩივრების უფლება, დისციპლინური გადაცდომებისა და სახდელების შესახებ ინფორმაცია, გასაჩივრების პროცედურული საკითხები და ა.შ.

3. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა მოსწავლესთან/მის მშობელთან ხელშეკრულების პროექტი, რომელიც სრულად ითვალისწინებს მხარეთა კანონით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

4.1.2.სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 22 აგვისტოს N2/75 ბრძანება: ,,სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა და მოსწავლის პირადი საქმის წარმოების შესახებ“, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესთან“. ხოლო, მობილობის წესი შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ" 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანების მიხედვით. რაც შეეხება საფეხურის დაძლევის მექანიზმს, წარმოდგენილია სასკოლო-სასწავლო გეგმაში და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: პ. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. ექსპერტებმა ვიზიტის პერიოდში დაათვალიერეს სკოლის მოსწავლეთა ბაზა, სკოლის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ - ადმინისტრაციული აქტები, რომლებიც სრულ შესაბამისობაში იყო მოქმედ კანონმდებლობასთან.
3. 2022-2023 სასწავლო წელს სკოლას არ შეუთავაზებია მოსწავლეებისათვის დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება. თუმცა, სკოლის მოსწავლეებს საშუალება აქვთ მეორე უცხოური ენის შესწავლა განახორციელონ მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების გადაწყვეტილების საფუძველზე. სოციალური ქსელის გვერდზე დაინტერესებული პირი შესაძლებელია გაეცნოს სკოლასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. აღნიშნულზე მეტყველებს სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტაცია - მექანიზმები, ბრძანებები, წესები და დებულებები სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 2023 წლის 22 აგვისტოს N2/75 ბრძანება ,,სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა და მოსწავლის პირადი საქმის წარმოების შესახებ“;
- სკოლის სოციალური გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია კლასის დამრიგებლების მონაწილეობით ხორციელდება. დამრიგებლის პორტფოლიოში გაწერილია მობილობის წესით მიღებული მოსწავლის ადაპტაციისათვის აქტივობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: პ. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან და საზოგადოებასთან. სკოლაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში ხდება ისგ ჯგუფების შექმნა, რომელთა მიერ ხდება მოსწავლეზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. სკოლაში დასაქმებულია სსსმ მოსწავლის 1 ასისტენტი, 2 სპეც მასწავლებელი. როგორც უკვე აღინიშნა, კლასის დამრიგებლები უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მხარდაჭერას მობილობის და/ან ჩარიცხვის მომენტიდან.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის დირექციის მხრიდან. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კონსულტირების წესი, სკოლაში გარკვეული სიხშირით ტარდება ექსტერნატის წესით გამოცდები, რომლის წარმატებით დაძლევისათვის სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კონსულტაციებს.

4. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. მოსწავლეები/მათი კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებულები არიან მობილობის უფლების შეზღუდვის შესახებ, გაცდენების შემთხვევაში ექსტერნის გამოცდის დანიშვნის და სტატუსი შეჩერების, შინ სწავლების უფლების შესაძლებლობის შესახებ და ა.შ.

5. სსიპ ქალაქ წალენჯიხის №2 საჯარო სკოლის საქმიანობა საკმაოდ ეფექტურია არაფორმალური განათლების მიმართულებით, სკოლას აქვს საკმაოდ წარმატებული გამოცდილება. მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ შექმნილია სხვადასხვა კლუბი: სამოქალაქო განათლების კლუბი „ახალი ხედვა“, წალენჯიხის N2 საჯარო სკოლის თვითმმართველობის ჯგუფი. eTwinning-ის ჯგუფი, ევროსაბჭოს დემოკრატიული სკოლების ქსელი.

სკოლა მუდმივად ითვალისწინებს მოსწავლეების მიერ წამოწყებულ გონივრულ ინიციატივებს. სკოლას აქვს მემორანდუმი დადებული ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან, პროფესიული განათლების პროგრამის ფარგლებში კოდინგის სკოლა 1500 ქალისთვის ,სადაც სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები არიან ჩართულები. ასევე სკოლას აქვს მემორანდუმი გაფორმებული პროფესიულ კოლეჯ ლაკადასთან, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები სკოლის ბაზაზე სწავლობენ ფილამწყობის და კერვის პროფესიებს. სკოლა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს სწავლებისა პრაქტიკული უნარების მოსწავლეებში ჩამოყალიბებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტი -,,სსიპ ქალაქ წალენჯიხის №2 საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ერთიერთობის და კომუნიკაციისა წესი“ -მოიცავს უკუკავშირის მექანიზმებს. კერძოდ, სხვადასხვა არხით მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, შესაბამისი ინტერვენციების განხორციელებას. და ამ ეტაპზე, უკუკავშირი ხორციელდება ძირითადად ზეპირსიტყვიერად, თუმცა, სკოლა მომავალში გეგმვას გამოკითხვის ჩატარებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამრიგებლის პორტფოლიო
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსიპ ქალაქ წალენჯიხის №2 საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ერთიერთობის და კომუნიკაციისა წესი.

4.2.2.სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ამ ეტაპზე, სკოლას პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მიმართულებით არაფორმალური განათლების ფარგლებში, გაფორმებული მემორანდუმი პროფესიულ კოლეჯ „ლაკადასთან“, რომლის ფარგლებში მოსწავლეები ეუფლებიან ორ პროფესიას: ფილამწყობისა და მკერავის პროფესიებს. სკოლა აწყობს ექსკურსიებს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრებს. ასევე, დაწესებულების ორგანიზებით ხშირია შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან.

2 სსიპ ქალაქ წალენჯიხის N2 საჯარო სკოლა შესაძლებლობის ფარგლებში აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. კერძოდ, ქალაქ ჯვარში არსებულ პროფესიულ სასწავლებლებთან დაკავშირებით.

3. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში, სკოლა ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. ამ ეტაპზე, სკოლის მიერ შეთავაზებული კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრები, სხვადასხვა აქტივობები თუ ღონისძიებები, დადებით შეფასებას იმსახურებს სასკოლო საზოგადოების მხრიდან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხელშეკრულება პროფესიულ კოლეჯ „ლაკადასთან“

4.2.2.სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია ინკლუზიური განათლება. სკოლას შემუშავებული აქვს 2022-2023 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

ქალაქ წალენჯიხის N2 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი“, დირექტორის ინდ. აქტით შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც სასწავლო წლის დასრულებიდან 7 დღის ვადაში წარადგენს სამინისტროში ანგარიშს. ისგ ჯგუფები შეიმუშავებენ ინდ გეგმებს. სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად, მათთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად. ინდივიდუალური გეგმები შედგენილია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. სკოლაში ფუნქციონირებს რესურს ოთახი, რომელიც ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან და საზოგადოებასთან. სკოლაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში ხდება ისგ ჯგუფების შექმნა. რომელთა მიერ ხდება მოსწავლეზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. სკოლაში დასაქმებულია სსსმ მოსწავლის 1 ასისტენტი, 2 სპეც. მასწავლებელი. პირველ კლასში ჩარიცხულია 1 სსსმ მოსწავლე, რომელსაც მულტიფიდისციპლინური გუნდის დასკვნაში უწერია ასისტენტის საჭიროება, სკოლა ელოდება საშტატო განრიგის შეთანხმებას სამინისტროსთან. სკოლას გამოცხადებული აქვს ვაკანსია საშტატო ერთეულით განსაზღვრული ენისა და მეტყველების თერაპევტის პოზიციაზე. კლასის დამრიგებლები უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მხარდაჭერას მობილობის და/ან ჩარიცხვის მომენტიდან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- 2022-2023 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- სსიპ ქალაქ წალენჯიხის N2 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი
- ხელშეკრულებები ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

- სსსმ მოსწავლეთა ნამუშევრების ამსახველი მასალები;
- სპეც მასწავლებლის ანგარიშები;

4.2.3.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მართალია, სსიპ ქალაქ წალენჯიხის №2 საჯარო სკოლა არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით მომსახურებას, თუმცა, ის მრავალფეროვანი აქტივობები და არაფორმალური განათლების მაღალი წილი, უვითარებს მოსწავლეებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

ანალიტიკურ/კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემის გადაჭრის, სისტემური აზროვნების, სოციალურ და თანამშრომლობით უნარებს.

2. სკოლის მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია კვების ობიექტი (ბუფეტი), რომელიც სკოლას იჯარით გადაცემული აქვს მესამე პირზე. იჯარის წესით ფართის გაცემა განხორციელდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და საფუძველზე. ასევე იჯარით არის გაცემული სკოლის სპორტდარბაზი, ცეკვის სტუდიის ფუნქციონირებისთვის, რომლითაც სარგებლობენ სკოლის მოსწავლეებიც. სკოლას ემსახურება ტრანსპორტი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა გადაადგილებას სახლიდან სკოლამდე და პირიქით.

3. სსიპ ქალაქ წალენჯიხის N2 საჯარო სკოლის ადმინისტრაციასთან საუბრისას გაირკვა, რომ სკოლა გეგმავს კვლევის საფუძველზე, მოსწავლეებს შესთავაზოს გარკვეული სერვისები, შესაბამისად, გაითვალისწინოს მოსწავლის საუკეთესო ინტერესები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საიჯარო დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: პ. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია დაწყებით საფეხურზე სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და პრიორიტეტულ საკითხებზეა დაფუძნებული. მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ დაწყებითი კლასების პედაგოგებს კათედრაზე განაწილებული აქვთ ფუნქციები, გათვალისწინებულია ყველას შესაძლებლობები, რაც მიზნად ისახავს ყველას ჩართულობასა და მათი შეხედულებების გათვალისწინებას. ცალკე დოკუმენტადაა წარმოდგენილი ,,კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“. აგრეთვე, კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება - კომპლექსური დავალებებიის იდეები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. სკოლა გვიჩვენებს შუალედური მიზნებს, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კათედრის წევრები თანხმდებიან თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებსა და დანერგვის მექანიზმებზე. სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული რეფლექსიებისა და მიგნებების საფუძველზე გამოტანილი დასკვნების კურიკულუმი შინაარსობრივად მიჰყვება მოსწავლის განვითარების გზას და აჩვენებს იმ დინამიურ პროცესებს, რომლებიც გატარდება 2023-2024 სასწავლო წელს და აჩვენებს მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებს.

2. საგნობრივი კურიკულუმიდან ჩანს, რომ იგი შედგენილია საგნობრივი მიმართულებების, სამიზნე ცნებების მიხედვით. პედაგოგთან გასაუბრებით და წარმოდგენილი კათედრის ოქმებიდან გამოიკვეთა რომ, კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. აგრეთვე, მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან და გამოთქვამენ მზაობას, რომ სამომავლოდ, კურიკულუმების შედგენის პროცესში სასკოლო საზოგადოების ინტერესების გამოკვლევასა და გათვალისწინებას, მიეცეს სისტემატური ხასიათი. სკოლაში **ტექნოლოგიების კათედრამ,** მედიაწიგნიერების კვირეულის ფარგლებში, განახორციელა სხვადასხვა აქტივობა (პოსტერების, კომიქსების, რეკლამების, მედიაპროდუქტების შექმნა და სხვა), რაც დამატებითი სტიმულია მოსწავლეებისთვის სასკოლო კურიკულუმის განვითარებაში ჩართულ ობისთვის. სკოლის დონეზე არსებული პროფესიული განვითარების ჯგუფი, რომელიც დირექციასთან რეგულარული თანამშრომლობით გამოყოფს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტულ მიმართულებებს და ასახავს კურიკულუმებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობას იღებს სასკოლო საზოგადოება. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია სასკოლო საზოგადოების როლი კურიკულუმის შემუშავებაში. ინტერვიუზე იკვეთება, რომ კათედრაზე განიხილება თითოეული კლასის გასული სასწავლო წლის მიღწევები, კათედრის ანგარიში, განხორცილებული კომპლექსური დავალებები, გამოყენებულ რესურსები. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეაქვთ ცვლილებები კურიკულუმში. მოსწავლეთა ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, განისაზღვრება სავალდებულო თემების ფარგლებში განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების რაოდენობა, გადაიხედება კურიკულუმის ჩარჩო, სადაც საგნის მასწავლებლები ითვალისწინებენ, როგორ უნდა მოხდეს გრძელვადინი მიზნების მიღწევა მოკლევადიან მიზნებზე დაფუძნებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შეირჩევა სხვადასხვა ტიპის რესურსები. სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს ეძლევათ ინფორმაცია განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების შესახებ, კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ მათ უკუკავშირს. სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, არის საჯარო დოკუმენტი, (გარდა ინდივიდუალური სასწავლო გეეგმებისა). ის წარედგინება სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. შესაბამისად მის დამტკიცებაშიც მონაწილეობს სასკოლო საზოგადობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლამ შეიმუშავა კურიკულუმი, რომელშიც გაითვალისწინა სასკოლო საზოგადოების ინტერესი, შესაბამისად პერიოდულად ხდებოდა კურიკულუმის გაცნობა სასკოლო საზოგადოებისთვის, სკოლისთვის არსებული მრავალფეროვანი წყაროებით: საინფორმაციო დაფა, საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალება, სოციალური გვერდი, დახურული ჯგუფები, შიდასასკოლო კონფერენციები, ჯგუფის შეხვედრები. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, სკოლა ინტენსიურად მოახდენს ინფორმაცის მიწოდებას კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების შესახებ სხვადასხვა ფორმით. ასევე მათ მიერ მოხდება კურიკულუმის გაზიარება საკლასო კრებებზე, ფეისბუკ გვერდზე, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლობით ჯგუფში, რასაც ითვალისწინებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. აგრეთვე ინფორმაცია განთავსდება სკოლის ბლოგზე და ვებგვერდზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N3 2022 - 2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.
- დანართი N3 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2022 2023 წწ (1)
- დანართი N6 ხარისხის ჯგუფის ოქმები
- დანართი N7 სასკოლო კურიკულუმი(საგნის(მუსიკა,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმები
- დანართი N8 სადამრიგებლო პროგრამები
- დანართი N12 ანგარიში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ
- დანართიN 15 ისგ ჯგუფი და ინდ გეგმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- დანართი N 17-მემორანდუმი ლაკადა
- სსიპ ქალაქ წალენჯიხის N 2 საჯარო სკოლის ხედვა, მისია, ღირებულებები
- პროექტის-კულტურული-მრავალფეროვნება-წალენჯიხის-2-საჯარო-
- კრიტიკული მეგობარი
- შემოდგომის სიმფონია
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის მნიშვნელობა მოსწავლეთა
- აღზრდის პროცესში და საგნისადმი არასწორი დამოკიდებულებისმიზეზების კვლევა.
- პედაგოგთა ანგარიშები და ოქმები
- კურიკულუმი 2021 2022
- დედამიწის დღე
- ქვათი-კორსიკული და ქართული ფოლკლორი „ჩვენ ნათესავები ვართ”
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, შუალედურ მიზნებსა და მკვიდრი წარმოდგენების გააზრებაზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში შუალედურ მიზნებად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილი რესურსები, რაც შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. მაგალითად: საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის დაწყებითი საფეხურის ფარგლებში წარმოდგენილია ორი საგნის: III და IV კლასების ,,მე და საზოგადოება“ და V და VI კლასების ,,ჩვენი საქართველოს“ შემდგომი სასწავლო წლისთვის შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც რიგ სავალდებულო თემებში შერჩეული საკითხების საშუალებით თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, როგორც გრძელვადიანი მიზანი. წარმოდგენილია ასევე საგნის ,,მე და საზოგადოების“ შეფასების რუბრიკები: განმავითარებელი, განმსაზღვრელი, სასკოლო პროექტი, კომპლექსური დავალების გეგმები, მასწავლებლების თვითრეფლექსიის და მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტები, ინდ. სასწავლო გეგმები. ჩანს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება. შედეგებთან ერთად განსაზღვრულია სამიზნე ცნებებიც, რომელთა გააზრებაც შედეგების მიღწევის წინაპირობაა. სწორედ მათზეა ძირითადი ორიენტირი. მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად.

ასევე სამოქალაქო განათლების კლუბი ხელს უწყოს სსსმ მოსწავლეების სოციალურ ინტეგრაციას, თანატოლებთან ურთიერთობის დამყარების, განათლების თანასწორი ხელმისაწვდომობისა და თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შეძენა/გამომუშავების კუთხით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

რჩევა: სპორტში მე-3 და მე-4 კლასების კურიკულუმებში თემა ,,ტანვარჯიში” შეიცვალოს თემით: ,,ტანვარჯიშის ელემენტები”.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2.დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში კარგად იკვეთება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან მიმართება. შემოთავაზებული კომპლექსური დავალებების იდეები ითვალისწინებს ისეთი გლობალურ ფუნქციურ უნარების განვითარებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ფეკილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

როგორებიცაა: შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, მაგალითად ქართული ენის I კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია საკითხები და კომპლექსური დავალებების იდეები -ეპიზოდის დახატვა (მოთხრობა ,,მე პირველკლასელი ვარ" ეპიზოდის დახატვა), საკლასო ოთახის აღწერა, სიტყვების პოსტერის შექმნა (სიტყვების პოსტერზე დაყრდნობით სიტყვების ბგერებად დაშლა), დიორამის შექმნა (გოგებაშვილის ,,ოთხი სურვილის" მიხედვით) - ხელს უწყობს ამ უნარების, როგორც პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლების, განვითარებას.

სკოლა მოსწავლეებს ესგ-ს გეგმის მისაღწევად სთავაზობს კომპლექსურ დავალებებს, დამატებით რესურსებს, საგნობრივ საკითხებს, შეფასების ინსტრუმენტებს. კათედრაზე შემუშავებული მატრიცებისგან აგებულია ისეთი კურიკულუმები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების დაფარვას ემსახურება. შუალედური სასწავლო მიზანი, კომპლექსური დავალება საშუალებას იძლევა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. ფუნქციურ-კომპონენტური უნარების და მაკროცნებების გააქტიურება იკვეთება კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპზე. კომპლექსურ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბი, რომელიც მიმართულია მოსწავლეთა მრავალფეროვანი განვითარების მხარდაჭერისთვის, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ტექნოლოგიების მიმართულების STEAM კლუბი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სასწავლო პროცესისას სკოლა ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. იკვეთება კონკრეტულ მოსწავლეთა საჭიროებებზე, ინტერესებსადა შესაძლებლობებზე ორიენტირება. სკოლის სასწავლო გეგმაში კარგად ჩანს საკითხის პრიორიტეტულობა და ისიც, რომ სკოლის მართვის პოლიტიკა თვალყურს ადევნებს სსსმ მოსწავლეთა ინდ. გეგმების შემუშავებას. საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში ჩანს, რომ სწავლება ძირითადად წარიმართება კომპლექსური დავალებებით. ინტერვიუზე იკვეთება, რომ მასწავლებლები ფლობენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს. მაგ:სასწავლო მენიუ, გაჩერებებით სწავლება და სხვ. წარმოდგენილია კომპლექსური დავალების ადაპტირებული ვერსია სსსმ მოსწავლისთვის, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები. ასევე გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ აქტივობების დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს და აძლევენ შესაბამისი სირთულის დავალებებს. აქტიურად ქმნიან სასწავლო ადაპტირებულ რესურსებს. დაგეგმილია აქტივობები, განსაზღვრულია მასალის მიწოდების, წარმოდგენის სხვადასხვა ფორმა, ყველა ტიპის მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

და საჭიროებების გათვალისწინებით. გაკვეთილზე ხდება მრავალფეროვანი რესურსის გამოყენება; მასწავლებლები იცნობენ და იყენებენ დიფერენცირებისთვის ეფექტურ აქტივობებსა და მეთოდებს. ხორციელდება სასკოლო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართულობას შესაძლებლობის ფარგლებში. ყოველივე ზემოთთქმულიდან იკვეთება, რომ კათედრას აქვს არსებულ გამოცდილებაზე დამყარებული სამომავლო ხედვა და მზაობა სასწავლო პროცესში გაითვალისწინოს დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც ასევე გამოიკვეთა კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად. უცხოური ენები - კათედრის წევრებთან შეხვედრამ გამოავლინა, მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის საშუალება. კურიკულუმში დაგეგმილი აქტივობები იძლევა ამის საშუალებას. გასაუბრებისას ასევე აღნიშნეს, რომ მასწავლებლები იყენებენ კომპლექსური დავალების მოდიფიცირებულ ფორმას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას ყველა კლასებში და განმსაზღვრელს-V-VI კლასებში. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებულია განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტი. ასევე კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც გამომდინარეობს შედეგების ინდიკატორებიდან და კომპლექსურის პირობიდან.

საგნობრივ კათედრებს შემუშავებული აქვთ შეფასების სქემები: დისკუსიის, ექსპერიმენტის, ინფორმაციის მოძიების, პრეზენტაციის, პროექტის, სხვადასხვა წერითი სამუშაოს და სხვ. მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, ხოლო ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება მათი მოდიფიცირება და ახლების შემუშავება გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით. ასევე კომპლექსური დავალების ბოლო ნაწილში მასწავლებლის მიერ დასმული კითხვები აძლევს მოსწავლეს საშუალებას, შეაფასოს როგორც საკუთარი თავი, ასევე თანატოლი და მასწავლებელმაც გაიაზროს, რა პროცესი გაიარა მოსწავლემ, გამოკვეთოს მისი ძლიერი და სუსტი მხარე და მისცეს საჭირო უკუკავშირი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია პედაგოგთა წინარე გამოცდილება, რის სურათს იძლევა მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ფორმები, რეფლექსიები, ანგარიშები, კათედრის შეხვედრის ოქმები, საიდანაც დგინდება, რომ ისინი ახდენენ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შეფასებას: სასწავლო პროცესის მართვის, სწავლა-სწავლების გრძელვადიან მიზანზე ორიენტირების, შეფასების, რესურსების მრავალფეროვნების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დიფერენცირებული მიდგომის, კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინების მიმართულებით. მოცემული თვითშეფასების ანალიზის საშუალებით შესაძლებელია მოხდეს სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვა. ჩანს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება ამ კუთხით, კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია პედაგოგთა წინარე გამოცდილება, რომელსაც ერთმანეთს უზიარებენ კათედრის წევრები შეხვედრებზე, რომლებიც გაფორმებულია ოქმებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრებს აქვს სამომავლო ხედვა და მზაობა დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს წინარე გამოცდილების ანალიზი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**.

- 2022 - 2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2022 2023 წწ
- ხარისხის ჯგუფის ოქმები
- სასკოლო კურიკულუმი (მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები
- სადამრიგებლო პროგრამა
- ანგარიში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ
- ისგ ჯგუფი და ინდ გეგმები
- მემორანდუმი, გაფორმებული კოლეჯ ლაკადასთან
- პროექტის-კულტურული-მრავალფეროვნება-წალენჯიხის-2-საჯარო სკოლა
- კრიტიკული მეგობარი
- შემოდგომის სიმფონია
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის მნიშვნელობა მოსწავლეთა

აღზრდის პროცესში და საგნისადმი არასწორი დამოკიდებულების მიზეზების კვლევა.

- პედაგოგთა ანგარიშები და ოქმები
- 22 აპრილი- დედამიწის დღე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

- საახალწლო კარნავალი
- ქვათი-კორსიკული და ქართული ფოლკლორი „ჩვენ ნათესავები ვართ”
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების რუბრიკები
- სკოლის შიდა სასკოლო კონფერენციის ფოტომასალა (სკოლის სოციალური გვერდი).
- საგნის: ,,მე და საზოგადოების“ და ,,ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმის ჩარჩოები.
- სასკოლო პროექტი
- მასწავლებლების თვითრეფლექსია
- ინდ. სასწავლო გეგმები
- სამოქალაქო კლუბის წესდება და სამუშაო გეგმა
- სპეციალური მასწავლებლის და მასწავლებლის მიერ განსახორციელებელ აქტივობებზე დაკვირვების ფორმები, დასკვნა/რეკომენდაცია
- სადამრიგებლო პროგრამები
- ინკლუზიური განათლების განვითარების სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

[x] შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში. ამის მაგალითია როგორც კომპლექსური დავალებების იდეები, ისე მათი განხორციელების პროცესი. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩამოყალიბებულია როგორც დავალებების პირობები, ისე შეფასების კრიტერიუმები. ჩანს , რომ მასწავლებლებმა კარგად იციან კომპლექსური დავალებების შედგენაც და მისი განხორციელებაც, შესაბამისად, მზად არიან მომდევნო სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობას შეუწყონ ხელი. კომპლექსური დავალებები საინტერესოა იმ კუთხით, რომ ცხოვრებისეულ კონტექსტებზეა დაფუძნებული, მოითხოვს სწავლა კეთებით სტრატეგიის გამოყენებას. **კომპიუტერული ტექნოლოგიების** საგნის მასწავლებელი საგაკვეთილო პროცესში მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა სახის ელექტრონულ რესურსს. სკოლაში ხორციელდება მრავალი სასკოლო პროექტი, მათ შორის მედიაწიგნიერების კვირეულის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები (პოსტერების, კომიქსების, რეკლამების, მედიაპროდუქტების შექმნა) **ესთეტიკური საგნებ**ის კათედრის შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები და სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით. მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის დემონსტრირებაა და შემდგომშიც ამასვე ისახავს მიზნად. ასევე წარმოდგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდივიდუალური გეგმები, სამოქმედო გეგმის შინაარსობრივი საკითხები თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. კურიკულუმის განხორციელებისას გათვალისწინებულია ცოდნის დაშენება წინარე ცოდნაზე. ეს ჩანს კურიკულუმის მოცემულ ჩარჩოებში, რომლებშიც წარმოდგენილი საკითხები ააქტიურებს მოსწავლეთა ცოდნას და ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ეტაპები იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოახდინოს ახალი მასალის დაშენება წინა მასალაზე დაყრდნობით. მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება და კონტექსტმაგალითები, რომლებიც წარმოდგენილია კურიკულუმებში, გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია, როგორ მუშაობენ დაწყებით საფეხურზე სკოლის პედაგოგები მოსწავლეების ,,სწავლის სწავლის“ უნარზე .

პედაგოგთა გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალებების დაგეგმვის და განხორციელების პროცესში, მოსწავლეების მიმართ წარსადგენი კომპლექსური დავალებები იმგვარადაა აგებული, რომ შესაძლებელია სასწავლო პროცესში სწავლის სწავლა. მოსწავლე ინტერაქციაშია მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იღებს და გასცემს უკუკავშირს. სკოლა 2019 წლიდან აქტიურადაა ჩართული ახალი სკოლის მოდელში, ასევე USAID-ის საბაზისო პროგრამაში, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვა-განვითარებას, შესაბამისად პედაგოგები პრაქტიკაში იყენებენ მიღებულ გამოცდილებას და ისე გეგმავენ სასწავლო პროცესს, რომ ის ორიენტირებული იყოს მოსწავლეზე.სასწავლო პროცესში ორიენტირებულია მეტაკოგნიტური (სწავლის-სწავლა) უნარების განვითარებაზე. შერჩეული კომპლექსური დავალებები, მასზე მუშაობისას განხორცილებული აქტივობები, გამოყენებული რესურსები და მეთოდები, დასმული კითხვები ხელს უწყობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის მიღებაზე. ეს კარგად ჩანს როგორც დაგეგმილ კომპლექსური დავალებების იდეებში, ისე განხორციელებულ ღონისძიებებში, რომლებიც სკოლამ წარმოადგინა. კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტები გულისხმობს ცოდნის კონსტრუირებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

აგებასა და მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებით და ინტერვიუზე დაყრდნობით დგინდება, სკოლას გამოცდილება და მზაობა დეკლერატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის განვითარებაზე გააკეთოს აქცენტები. პედაგოგები ხელს უწყობენ მოსწავლეს საგნობრივი სასკითხების სიღრმისეულად გააზრებასა და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას. ცოდნის სამივე კატეგორიის განსავითარებლად სკოლა მიზანმიმართულად მუშაობს შუალედური მიზნებით, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე; ხორციელდება პროექტები, კომპლექსური დავალებების პრეზენტაციები, ექსკურსიები. სკოლაში გამოფენილია კომპლექსური დავალებებისას შექმნილი პროდუქტები. სამომავლოდ, სკოლა მეტი აქტიურობით გააააგრძელებს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროექტულ და კომპლექსური დავალებებით სწავლებას და მიღებულ პროდუქტს დოკუმენტაციებში ასახავს. დოკუმენტაციაში აღნუსხული ატივობები მიუთითებს იმაზე, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია და ითვალისწინებს ცოდნის სამ კატეგორიას (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. დაწყებით საფეხურზე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ცოდნის ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება, ჩაატარონ ღონისძიებები ამ მიმართულებით. მტკიცებულებით წარმოდგენილი კურიკულუმებში (I-VI კლასები) შუალედურ მიზნებად წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. მაგალითად: წარმოდგენილ კომპლექსური ბუნების დავალების პირობებში ჩანს, რომ მათზე მუშაობისას მოსწავლე არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ არგუმენტებს, ცდილობს, მოძებნოს გამოსავალი. ეს აქტივობები კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას. კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებასა და კონსტრუქტივისტული პრინციპების მიღწევას.სკოლას აქვს ინტეგრირებული გაკვეთილების და პროექტების განხორციელების გამოცდილება. ინტეგრირებული გაკვეთილები მოსწავლეებს აფიქრებს საგანთა კავშირზე, ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთკავშირზე. მათთვის უფრო სახალისო ხდება სწავლა. ცოდნის ორგანიზებაზეა გათვლილი კომპლექსური დავალებებიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

კურიკულუმები საშუალებას იძლევა მოსწავლემ შეძლოს სხვადასხვა საგნის ცოდნისა და გამოცდილების ორგანიზება და ინსტრუმენტად გარდაქმნა. **უცხოური ენების კათედრაზე** - არსებულ კურიკულუმებში თემები, ცნებები და ქვესაკითხები, ასევე, რესურსები ისეა წარმოდგენილი, რომ იგი ხელს უწყობს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას, კომპეტენტური უნარების გააქტიურებას, რათა მათ იფიქრონ, განიხილონ, დაასაბუთონ და შექმნან ინდივიდუალური პროდუქტი, დააკავშირონ ისინი სხვადასხვა სასწავლო საგანს თუ მოვლენასთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია** დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022 - 2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2022 2023 წწ (1)
- ხარისხის ჯგუფის ოქმები
- კურიკულუმები
- სადამრიგებლო პროგრამა
- ანგარიში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ
- ისგ ჯგუფი და ინდ გეგმები
- მემორანდუმი ლაკადასთან
- პროექტის-კულტურული-მრავალფეროვნება-წალენჯიხის-2-საჯარო სკოლა

აღზრდის პროცესში და საგნისადმი არასწორი დამოკიდებულების მიზეზების კვლევა.

- პედაგოგთა ანგარიშები და ოქმები
- 22 აპრილი- დედამიწის დღე
- საახალწლო კარნავალი
- შეფასების სქემები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

- ქვათი-კორსიკული და ქართული ფოლკლორი „ჩვენ ნათესავები ვართ”
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- მუზეუმი ცის ქვეშ
- კომპლექსური დავალებები
- განხორციელებული პროექტი მედიაწიგნიერების შესახებ.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო- დოკუმენტებში ჩანს, რომ მუშავდება ყველა გრძელვდიანი მიზანი. ცოდნისკენ სვლა კი სწორედ მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული სიღმისეული სწავლის მიდგომებით ხორციელდება. სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები, რომლებიც დაგეგმილი პროცესის ნაწილია, ვინაიდან მკვიდრი წარმოდგენები შემოსაზღვარავს ცნების არეალს, სწორედ მისგან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

გადმოთარგმნილი შეფასების კრიტერიუმები აქვს ჩაშლილი დავალების პირობას, რომელიც კარნახობს მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულება რა მიმართულებით უნდა მოხდეს. კურიკულუმებში ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს შორის. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან ჩანს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა მოცემულ ინდიკატორთან შესაბამისობისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე. ამის ნათელი მაგალითია განხორციელებული სხვადასხვა აქტივობა, რომელთა ამსახველი ვიდეო და ფოტო მასალები განთავსებულია სკოლის სოციალურ გვერდზე. მაგალითად, მე-6 კლასის მოსწავლეების მონაწილეობა ,,ტვინების ბრძოლაში", რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა დაინტერესებას სხვადასხვა მიმართულებით და მოტივაციის ამაღლებას. ასევე, შეიძლება აღინიშნოს. **კომპიუტერული ტექნოლოგები (ისტ)**- კურიკულუმში გათვალისწინებულია, რომ გარდა საგნობრივი ცოდნისა, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-ემოციური უნარების განვითარებას და სკოლაში ხორცილდება სხვადასხვა პროექტი, მაგ, მედიაწიგნიერების კვირეული, ფუნქციონირებს STEAM კლუბი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლაში არსებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. დაწყებით საფეხურზე გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება: 1-დან მე-5 კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით მხოლოდ განმავითარებელი, ხოლო მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან-განმავითარებელი და განმსაზღვრელი. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტთან (კომპლექსურ დავალებებთან) მიმართებით. შეფასების კრიტერიუმები კარგადაა შემუშავებული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების ობიექტურ შეფასებას, ჩანს, რომ დაწყებით საფეხურზე პედაგოგები წარმოდგენილი სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის, დაკვირვების კითხვარების საშუალებით დგინდება, რომ შეფასების სისტემა ორიენტირდება არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე, არამედ ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას, როგორია მოსწავლის ჩართულობა სასწავლო პროცესში, რა ფაქტორები უწყობს/უშლის სასწავლო პროცესში მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: პ. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

აქტიურ მონაწილეობას ხელს და ა.შ. კარგად იყენებენ როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებების კრიტერიუმებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ჩანს შეფასების მიზანი და შეფასების კრიტერიუმები. რაც შეფასებას ხდის სამართლიანს და ობიექტურს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა და იგეგმება რუბრიკების განახლება და დახვეწა. საკლასო ოთახების დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ შეფასების რუბრიკები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, რათა მოსწავლეებმა თვითონ შეაფასონ საკუთარი თავი კრიტერიუმების მიხედვით, როგორც მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, ისინი აცნობენ შეფასების რუბრიკებს მოსწავლეებს და მშობლებს. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. შესაბამისად, თითოეულმა მათგანმა წინასწარ იცის ის მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც შეფასდება მათი ნაშრომი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმზე პასუხისმგებლნი არიან სკოლის დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრები. როგორც გასაუბრებით დადგინდა, მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მაწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიცემა. ამის მტკიცებულებად სკოლამ გვიჩვენა კათედრის ოქმები, სადაც აღნიშნული საკითხები დღის წესრიგშია წარმოდგენილი. სკოლაში ხდება შეფასების შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, შიდა მონიტორინგის ინსტრუმენტად განიხილულია სკოლაში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, რომელსაც დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში წარადგენს პედსაბჭოზე. ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება უშუალოდ ვერიფიკაციის მექანიზმების კიდევ უფრო დახვეწა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც დაადასტურა მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილმა ნიმუშებმა. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშს ინახავენ კათედრები სამი წლის ვადით. **საბუნებისმეტყველო საგნები-** სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე. სკოლა აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს. ამასთანავე, ინფორმაცია აისახება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022 - 2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2022 2023 წწ
- ხარისხის ჯგუფის ოქმები
- სასკოლო კურიკულუმი (მუსიკის,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების) კურიკულუმები
- სადამრიგებლო პროგრამა
- ანგარიში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ
- ისგ ჯგუფი და ინდ. გეგმები
- მემორანდუმი კოლეჯ ლაკადასთან
- პროექტის-კულტურული-მრავალფეროვნება
- შემოდგომის სიმფონია
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის მნიშვნელობა მოსწავლეთა

აღზრდის პროცესში და საგნისადმი არასწორი დამოკიდებულების მიზეზების კვლევა.

- პედაგოგთა ანგარიშები და ოქმები
- შეფასების სქემები
- ქვათი-კორსიკული და ქართული ფოლკლორი

„ჩვენ ნათესავები ვართ"

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- კათედრის ოქმები
- სკოლის სოციალურ გვერდზე განთავსებული მასალა
- კომპლექსური დავალებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში კარგად ჩანს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობა. არა მარტო კათედრის წევრები ურთიერთანამშრომლობენ, არამედ სხვა კათედრების წარმომადგენლებთან ერთადაც გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობას. ამის დასტურია შიდასასკოლო კონფერენცია, რომლის ამსახველი ფოტომასალაც სკოლის სოციალურ გვერდზეა განთავსებული. აგრეთვე, მადლობის სიგელები, რომლებსაც სკოლა გადასცემს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სხვადასხვა ღონისძიებაში გამოჩენილი აქტიურობისთვის. დაწყებით საფეხურზე სხვადასხვა კლასის მოსწავლეები და მასწავლებლები ერთად ახორციელებენ ღონისძიებებს. სკოლაში პრიორიტეტულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები. კათედრის წევრებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ვასკვნით, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი გარემო. სკოლის მიერ შეთავაზებული სასწავლო თუ არაფორმალური განათლებისთვის განკუთვნილი აქტივობები განკუთვნილია იმისთვის, რომ მოსწავლეებს ხელი შეეწყოთ საკუთარი პოტენციალის განვითარებასა და რეალიზებაში. სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ ხელს უწყობს მოსწავლეთა მხარდაჭერას მიზნობრივი ინიციატივების განხორციელებისას. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს საინტერესო სასწავლო თუ სოციალურ პროექტებს, კომპლექსურ დავალებებს, დროულ უკუკავშირს საგაკვეთილო პროცესის დროს და დავალებების განხორციელების ეტაპებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სასწავლო პროცესი მორგებულია მოსწავლეზე, სკოლა ყველაფერს აკეთებს მის ხელშესაწყობად. ტარდება სადამრიგებლო საათები, სასწავლო - შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები, კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები, შეფასების რუბრიკები იძლება საშუალებას დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მასწავლებლებთან ინტერვიუზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები. მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიური. სკოლის სტრუქტურული ერთეულები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან; სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობით. სასწავლო გეგმები იქმნება კათედრაზე ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლაში პოზიტიური კლიმატის არსებობა იგრძნობა როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე. მოსწავლეები და მასწავლებლები ერთობლივად არიან ჩართული სასკოლო ცხოვრებაში და საინტერესო აქტივობებით ამრავალფეროვნებენ მას. კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებს, ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტში, რომლებისადმი დიდ ინტერესს იჩენენ მოსწავლეები. ეს დასტურდება სკოლის გვერდზე განთავსებული ინფორმაციებით და იმ დოკუმენტაციით, რომლებიც წარმოადგინეს პედაგოგებმა. მასწავლებლებთან გასაუბრებისას შესამჩნევი იყო ერთმანეთის მიმართ დადებითი განწყობილება. მათ ისიც აღნიშნეს, რომ პოზიტიური კლიმატის შექმნაზე თანაბრად ზრუნავს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2022-2023 წ.წ.
- ხარისხის ჯგუფის ოქმები
- კურიკულუმები
- სადამრიგებლო პროგრამა
- სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- ისგ. ჯგუფი და ინდ. გეგმები
- მემორანდუმი კოლეჯ ლაკადასთან
- პროექტი კულტურული მრავალფეროვნება
- კრიტიკული მეგობარი
- შემოდგომის სიმფონია
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის მნიშვნელობა მოსწავლეთა აღზრდის პროცესში და საგნისადმი არასწორი დამოკიდებულების მიზეზების კვლევა
- პედაგოგთა ანგარიშები და ოქმები
- დადიანების მუზეუმი
- ტერენტი გრანელის მუზეუმი
- ალისფერი შემოდგომა
- ქვათი-კორსიკული და ქართული ფოლკლორი „ჩვენ ნათესავები ვართ”
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- ფოტო და ვიდეომასალა
- სკოლის მიერ წარმოდგენილი ლინკები
- შეფასების რუბრიკები;
- სადამრიგბლო პროგრამები
- USAID პროექტში ჩართულობის დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული აქვს მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება. ის წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს. კურიკულუმის განვითარება თავისთავად წარმოადგენს ციკლურ პროცესს, რადგან ჯერ ხდება მისი დაგეგმვა, რასაც მოსდევს განხორციელება და მონიტორინგი/შეფასება გადაგეგმვა. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან, პროცესებზე დაკვირვებასა და შედეგების ანალიზთან. სკოლის არსებული პრაქტიკა და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

2. სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა კათედრის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობა სამუშაო შეხვედრების საშუალებით, ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება, რაც იკვეთება წარმოდგენილ კათედრის შეხვედრების ოქმებში. ასევე მასწავლებელთა რეფლექსიები და ანგარიშები განხორციელებული საქმიანობის შესახებ, რომლებიც უზიარდება კოლეგებს. კათედრები და სკოლაში შექმნილი განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი გეგმავენ სემესტრის ბოლო შემაჯამებელ სხდომებზე შეაჯამონ შემაჯამებელი დავალებების ანალიზების შედეგები, დირექციის წარმომადგენლები დააკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების დინამიკას სემესტრულად.დ აკვირვების/მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება ხდება სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად. მასწავლებლების შემთხვევაში ეს გამოიხატება გამოცდილების გაზიარებაში, სასწავლო ჯგუფებში მუშაობასა და ტრენინგებისა და ვებინარების დაგეგმვასა და მონაწილეობაში (გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე), მოსწავლეების შემთხვევაში ეს არის რემედიაციის პროგრამა და დიფერენცირებული სწავლება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება ერთი მხრივ როგორც პრობლემის გადაჭრის და მეორეს მხრივ როგორც რეკომენდაციების პაკეტის შემუშავების საშუალება, რომელიც გამოყენებული იქნება ახალ სასწავლო წელს უკეთესი სასწავლო შედეგების მისაღებად. კათედრებსა და პედაგოგიურ საბჭოზე ხდება სემესტრის/წლის შეჯამება. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ თითოეული მასწავლებელი, დამრიგებლები და კათედრები ანგარიშს წარადგენენ პედაგოგიურ საბჭოზე. მონიტორინგი და შეფასება მიზნად ისახავს პრობლემის იდენტიფიცირების და გადაჭრის გზების ძიებას. პირველ ინდიკატორში ნახსენები კურიკულუმის მონიტორინგის მექანიზმის საშუალებით, კათედრებზე მოხდება მშობლებისა და მოსწავლეების უკუკავშირის გათვალისწინებით მიღებული შედეგების გაანალიზება, პრობლემის იდენტიფიცირება და გაუმჯობესების გზების ძიება, რაც აისახება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში

დირექცია ყველა სტატუსის მქონე მასწავლებელს ესწრება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და ადგენს მათ საჭიროებას, აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. სკოლაში მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეკრებებზე გეგმავენ გაკვეთილებს, ატარებენ და შემდეგ განიხილავენ შედეგებს არსებულ პრობლემებს და გეგმავენ განვითარების გზებს. ამრიგად, სკოლაში სასწავლო პროცესზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაკვირვების სხვადასხვა მიმართულების მიზანი ერთია, მოახდინოს შეფასება და განსაზღვროს პრობლემის გადაჭრის გზა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- სადამრიგბლო გეგმები;
- ინდგეგმები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა მრავალფეროვანი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა ნამუშევრის შეფასებებთან დაკავშირებით. განმსაზღვრელ შეფასებას იყენებენ მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებულია მოსწავლის წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების როლი, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მშობელს და თავად მასწავლებელს მიიღოს/დააგროვოს ინფორმაცია სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, კომპლექსური დავალების, შეფასების რუბრიკების, განხორციელებული აქტივობების და ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ მოსწავლეზე დაკვირვება წარიმართება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით, მაგ. მოსწავლის ფსიქო-სოციალური მდგომარეობა, პროგრესი, რეგრესი, გარემო კლიმატი და თანატოლებთან ურთიერთობა. საბუნებისმეტყველო კათედრა შეფასებისას მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს იყენებს, შემაჯამებელი დავალები, მასწავლებლების ანგარიშები, გამოყენებული დიაგნოსტიკური განმავითარებელი შეფასებები, მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, უკუკავშირები და შესასვლელ-გასასვლელი ბილეთები. მათი განხილვით/ანალიზით გროვდება ინფორმაცია თითოეული მოსწავლის თავისებურებების და საჭიროების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია შეფასების დროს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. პედაგოგები ახორციელებენ მონიტორინგს მოსწავლეთა სწავლაზე და შეძლებისდაგვარად აწვდიან მათ უკუკავშირს. უკუკავშირი ეფუძნება შეფასების სხვადასხვა ფორმას: მოსწავლეზე დაკვირვებას, ტესტს, კითხვა-პასუხს, პროექტების განხორციელებაში მიზნობრივ ჩართულობას. მასწავლებელი შეფასების დროს იყენებენ შეფასების სხვადასხვა ფორმას, რომლებიც ნაწილობრივ ატარებს ჰოლისტურ ხასიათს და ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. მასწავლებელი ინფორმაციას მოსწავლის შესახებ აგროვებს მოსწავლის, მის თანატოლების, მშობლების, მასწავლებლების, დამრიგებელს და სკოლის სხვა პერსონალის გამოკითხვის შედეგად, რათა მიიღოს მეტი ინფორმაცია მოსწავლის შესახებ და გაითვალისწინოს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, რაც კარგადაა გააზრებული როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებებისას. დაწყებითი კლასების კომპლექსურ დავალებებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს სკოლა იყენებს მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლისთვის მნიშვნელოვანია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაადგინოს, თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში. ამრიგად, მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს, ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები.
- შეფასების რუბრიკები.

- კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრის ანგარიშები.

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

[x] შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს შემუშავებული კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, თუმცა გეგმავს მის შექმნას. პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული, როგორ უნდა გაიწეროს ვადები კურიკულუმის განვითარების ეტაპების შესაბამისად, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების აუცილებლობა, ვერიფიკაცია, გადანაწილებული აქვთ პასუხისმგებლობები. სკოლა გეგმავს სისტემური მიდგომა იყოს დანერგილი კურიკულუმის განვითარებასთან მიმართებით, რადგან სასწავლო წლის მანძილზე სხვადასხვა წყაროს გამოყენებით შეგროვდეს ის ინფორმაცია, რომელმაც ხელი შეუწყო სკოლის განვითარებას, მოსწავლეთა ჩართულობას და ეს ყოველივე გათვალისწინებულ იქნეს მომდევნო წლისათვის. ამავე დროს ის გამოწვევები, რომლებიც დადგა სწავლების პროცესში კომპლექსურ დავალებებთან მიმართებით, თემის ფარგლებში საკითხთა კლასტერის შეწავლის დროს, აღმოფხვრილ იქნა სხვადასხვა ინტერვენციით კათედრაზე ურთიერთთანამშრომლობის გზით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
2. სკოლას საკმაოდ დიდი გადმოცდილება აქვთ კურიკულუმების შემუშავებასა და მათ განხორციელებაში. გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე ცოდნასა და მათსავე წარმატებულ გამოცდილებას, აგრეთვე, მიღწეულ საუკეთესო შედეგებს. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული შეიძლება იყოს როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. ანუ ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომლებიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა. ამ ყველაფერს კი სკოლა ადგენს დაწყებითი კლასების კათედრაზე მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი საბოლოო რეფლექსიების ანალიზის შედეგად.ეს გამოცდილება გათვალისწინებული იქნება როგორც კლასის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. დაწყებით საფეხურზე სკოლა ქმნის ახალ კურიკულუმის ჩარჩოს, რომელიც დაიხვეწება ზაფხულის განმავლობაში და ახალი 2023-2024 სასწავლო წლიდან დაინერგება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- კომპლექსური დავალებები
- კურიკულუმიის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

[x] შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტის კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	**[x] შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	[x] შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	[x] შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.**სასკოლო კურიკულუმი**

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, გათვალისწინებული იქნეს სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. მეთოდოლოგიაში აღწერილი აქვს პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

განვითარების პროცესი, კურიკულუმის განვითრების ეტაპებზე განსახორციელებელი აქტივობები, ჩანს, როგორ ხდება ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც უშუალოდ საბაზო საფეხურის მასწავლებელთა მიერ შექმნილ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში ამოიცნობა, რომლებსაც თან ახლავს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების ინსტრუმენტები. კურიკულუმის ჩარჩოთი განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეებში იკითხება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც გულისხმობს სწავლა–სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებსა და კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას. გამოცდილებაზე დაფუძნებულ, ახლადშემუშავებულ კურიკულუმში გამიზნული ურთიერთთანამშრომლობითი კულტურის განმტკიცება, სასკოლო საზოგადოების ნაყოფიერი ჩართულობა, სხვადასხვა პროექტის, გასვლითი გაკვეთილები, ინტეგრირებული აქტივობები, საქველმოქმედო ღონისძიებები, სადამრიგებლო საათები, ურთიერთდასწრებები, „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა ურთიერთდასწრებები, სასკოლო კონფერენცია, რაც სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას უზრუნველყოფს. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნა, რომ აქვს გამოცდილება მშობელთა ბარათების გამოყენების, სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში საბაზო საფეხური აუცილებლად ითვალისწინებს საზოგადოების ინტერესებს, ამ პროცესს ხელს უწყობს წინასწარ დაგეგმილი შეხვედრები კათედრის წევრებთან და მშობლებთან, რომელიც ზეპირსიტყვიერად შემოიფარგლება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობას იღებს სასკოლო საზოგადოება. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია სასკოლო საზოგადოების როლი კურიკულუმის შემუშავებაში. ინტერვიუს დროს იკვეთება, რომ კათედრაზე განიხილება თითოეული კლასის გასული სასწავლო წლის მიღწევები, კათედრის ანგარიში, განხორციელებული კომპლექსური დავალებები, გამოყენებული რესურსები. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეაქვთ ცვლილებები კურიკულუმში. მოსწავლეთა ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე განისაზღვრება სავალდებულო თემების ფარგლებში განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების რაოდენობა, გადაიხედება კურიკულუმის ჩარჩო, სადაც საგნის მასწავლებლები ითვალისწინებენ, როგორ უნდა მოხდეს გრძელვადინი მიზნების მიღწევა მოკლევადიან მიზნებზე დაფუძნებით. შეირჩევა სხვადასხვა ტიპის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

რესურსები. სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს ეძლევათ ინფორმაცია განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების შესახებ, კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ მათ უკუკავშირს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. საბაზო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის, გასაჯაროებისთვის კათედრა იყენებს მისთვის რელევანტურ საშუალებებს: ფუნქციონირებს საინფორმაციო დაფა, საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალება, სოციალური გვერდი, დახურული ჯგუფები, შიდასასკოლო კონფერენციები, ჯგუფის შეხვედრები. კათედრაზე ყველა მასწავლებელს გათავისებული აქვს ცნებების თეორიაზე დაფუძნებული სწავლა–სწავლების სიკეთეები და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები. სამომავლოდ გაზიარების მიზნით, სკოლა გეგმავს შექმნას ოფიციალური ბლოგი, სადაც განთავსდება მასალები, რომლებიც ხელმისაწვდომი და საჯარო იქნება სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მომავალში კათედრის მიერ დაგეგმილი მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობის გაზრდა, სკოლაში არაფორმალური განათლების ხელისშემწყობ ფაქტორად ესახებათ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა.
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები.
- სკოლის სოციალური გვერდი.
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ყველა საგნის წარმოდგენილ კურიკულუმში ჩანს, რომ სწავლების პროცესში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე (სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებზე). კურიკულუმში ესგ-ის სტანდარტის შესაბამისადაა განსაზღვრული თემები, სამიზნე ცნებები, საკითხთა კლასტერი. მოცემულია კომპლექსური დავალების იდეა, რომელიც მიემართება სამიზნე ცნებასა და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მიზნების განსაზღვრა მოხდა მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით - წინა წლის კურიკულუმის (განხორციელებული კომპლექსური დავალებების) გაანალიზების საფუძველზე. წარმოდგენილ **ფიზიკის და ქიმიის** კურიკულუმებში (ბიოლოგიაში არაა კომპლექსური დავალება შერჩეული, ინტერვიუზე აღნიშნა მასწავლებელმა, რომ შეიტანს სასწავლო წლის დაწყებამდე) შუალედურ მიზნებად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილი რესურსები, აქტივობები შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი საბაზო საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განმსაზღვრელი საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. კურიკულუმებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება განიხილება როგორც შუალედური სასწავლო მიზანი. კათედრას საგნის სწავლება დაგეგმილი აქვს სტანდარტის გრძელვადიანი მიზნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: პ. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საფუძველზე და ახორციელებს კომპლექსურ დავალებას, თემის ფარგლებში ახორციელებს კომპლექსურ დავალებებს. მოცემული მტკიცებულებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები, პროექტები იძლევა დიფერენცირებული მიდგომების განხორციელების საშუალებას. ინტერვიუს შედეგადაც გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით დაიგეგმება სასწავლო მიზნების გათვალისწინებით მრავალფეროვანი, მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესი. მასწავლებელები სასწავლო პროცესში იყენებენ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგიებს: სასწავლო მენიუ, გაჩერებებით სწავლება, კვლევაზე დაფუძნებული საწავლება და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
4. წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების, განმავითარებელი შეფასების რუბრიკის, განმავითარებელი კომენტარებით, მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტებით, დგინდება, რომ შეფასება მისაღწევ შედეგებზეა გათვლილი, გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზეა მიმართული, რაც საშუალებას იძლევა, შეფასდეს მოსწავლის მიღწევა გრძელვადიან მიზნებთან და საგნის მისაღწევ შედეგებთან მიმართებით. საშუალებას იძლევა მოსწავლემ შეაფასოს როგორც საკუთარი თავი, ასევე თანატოლი და მასწავლებელიც გამოკვეთავს, რა პროცესი გაიარა მოსწავლემ, აქცენტს აკეთებს მის ძლიერ და სუსტ მხარეზე და აძლევს განმავითარებელ საჭირო უკუკავშირს განმავითარებელი კომენტარი/რეკომენდაციის სახით. ჩანს, რომ სწავლება და შეფასება ერთმანეთისგან განუყოფელ, ერთ მთლიან პროცესს წარმოადგენს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასება მიმართოს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
5. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში სკოლას აღწერილი აქვს ის საქმიანობები, რომლებსაც ახორციელებს წინა წლის კურიკულუმის ანალიზის და მისი რევიზიისთვის. კათედრებთან ჩატარებული ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინეს წინა წლის გამოცდილება, შეარჩიეს დავალებები, რომლებიც ეფექტური აღმოჩნდა მოსწავლეთა მოტივაციის, მათი ჩართულობის და მიღწეული შედეგების თვალსაზრისით. მასწავლებლები ჩართული არიან მესამე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, აკვირდებიან მოსწავლეებს სასწავლო პროცესში და მიღებულ გამოცდილებაზე, მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე, საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით გეგმავენ სასწავლო პროცესი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები.
- სკოლის სასწავლო გეგმა.
- შეფასების რუბრიკები
- კათედრის ოქმები.
- მასწავლებლების თვითრეფლექსია
- კათედრის სხდომების ოქმები
- მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტები (განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები, განმავითარებელი კომენტარები)
- ინდ. სასწავლო გეგმები
- სკოლის კლუბის წესდება ,,ახალი ხედვა“, ,,ჩვენ ვქმნით მომავლის ისტორიას"
- სკოლის ინკლუზიური განათლების განვითარების გეგმა
- სპეციალური მასწავლებლის და მასწავლებლის მიერ განსახორციელებელ აქტივობებზე დაკვირვების ფორმები, ანგარიშები, დასკვნა/რეკომენდაცია
- სასკოლო პროექტები
- სასკოლო ვიქტორინები და კონკურსები

სასკოლო კონფერენციები

- კათედრის წლიური ანგარიში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

[x] შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; რაც მკაფიოა კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმებიდან. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები და სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით. მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის დემონსტრირებაა და შემდგომშიც ამასვე ისახავს მიზნად. ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ფკილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

წარმოდგენილი ინდივიდუალური გეგმები, სამოქმედო გეგმის შინაარსობრივი საკითხები თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. კურიკულუმის განხორციელებისას გათვალისწინებულია ცოდნის დაშენება წინარე ცოდნაზე. სკოლას ისე აქვს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრილი თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების განხორციელების შესაძლებლობა. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა ისაუბრა საკლასო სივრცეში მიღებული ცოდნა ფართოდ იშლება სასკოლო პროექტებსა (სოციალური/ სასწავლო/ ინტეგრირებული) და არაფორმალურ აქტივობებში. ფორმალური თუ არაფორმალური განათლებისას ყოველი ახალი საკითხი ემყარება არსებულ ცოდნას, ამით განამტკიცებს ძველს და უფრო იოლად აღსაქმელს გახდის ახალს. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია, თუ როგორ მუშაობენ საბაზო საფეხურზე სკოლის პედაგოგები მოსწავლეების ,,სწავლის სწავლის“ უნარზე. ამის მაგალითია კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტებში მოცემული კონტექსტ მაგალითები, რომლებიც საშუალებას იძლევა ნაცნობ კონტექსტზე დაყრდნობით მოსწავლემ მიიღოს ახალი ცოდნა და გამოცდილება. ზოგადად, კომპლექსური დავალებების სპეციფიკა იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას, ამიტომ ამგვარი ტიპის დავალებების წარმოდგენა სკოლის მიერ საფუძველს იძლევა, დავასკვნათ, რომ მოსწავლეები იღებენ კონკრეტული ამოცანის მოთხოვნებს, ეძებენ მათი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიებს და არეგულირებენ საკუთარ სასწავლო გამოცდილებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. საგნობრივი საკითხების სიღრმისეული გააზრებისა და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებისთვის სკოლის მიერ მოწოდებულ მასალაში (კურიკულუმები, კომპლექსური დავალების გეგმები, განმავითარებელი შეფასების კომენტარი/რეკომენდაციები, მასწავლებლის თვითსეფასება/რეფლექსია) იკვეთება აქცენტი ცოდნის სამ კატეგორიაზე სავალდებული თემის ფარგლებში შერჩეულ საკითხებში კონკრეტული სამიზნე ცნებების დამუშავების საშუალებით, რაც ავტომატურად მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით აქცენტს გააკეთებს ცოდნის სამ კატეგორიაზე, ასევე საგაკვეთილო პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების ფარგლებში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათ სკოლას აქვს გამოცდილება კლუბური და საწრეო მუშაობის და მომავალ წელს კათედრაც ფიქრობს შექმნას სახელოვნებო წრე/კლუბი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

5. საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში იკვეთება მოსწავლეთა ცოდნის ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზების გათვალისწინება. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება, ჩაატარონ ღონისძიებები ამ მიმართულებით. ამის მაგალითია **ქართული ენის** მე-9 კლასის კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალების იდეები: ფოტომოთხრობის შექმნა (საოჯახო ალბომის საფუძველზე), ასევე, ანალიტიკური ესე: ,,ადამიანს უფლება აქვს, ნებისმიერი ფორმით გამოხატოს პროტესტი უსამართლობის მიმართ" (გოდერძი ჩოხელის ,,თევზის წერილების" სწავლებისას), რომლებიც მოსწავლეებს ცოდნის ორგანიზების საშუალებას აძლევს. **საბუნებისმეტყველო საგნების** პროექტი ,,მორწყვის სისტემა" იძლევა ფიზიკის და ბიოლოგიის ფარგლებში მიღებული ცოდნის ორგანიზების და ურთიერთდაკავშირების საშუალებას. მიღებული ინფორმაციის მიხედვით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმები
- მადლობის სიგელები

- კომპლექსური დავალების გეგმები
- მასწავლებლის თვითშეფასება/რეფლექსია

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები. საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია შესასწავლი სავალდებულო თემები კლასების მიხედვით და თითოეულ სავალდებულო თემაში ჩაშლილია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები/ქვესაკითხები. შერჩეულ კომპლექსური დავალებები და აქტივობები მიემართება გრძელვადიანი მიზნისკენ. მაგალითად, **ფიზიკის კურიკულუმში** წარმოდგენილია დავალება-იგლუს მაგალითზე ენერგოეფექტურობის, კომფორტულობისა და მდგრადობის განმსაზღვრელი ფაქტორების კვლევაზე, სადაც მუშავდება სამიზნე ცნებები: მატერია და ენერგია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო- ემოციურ განვითარებაზე. .კურიკულუმებში საგნობრივი კონტექსტები ისეა შერჩეული, რომ ქმნის მოსწავლის საჭიროებების და მისი პიროვნული თუ სოციალური უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობას. საკითხები, ასევე აქტივობები სასწავლო პროცესისთვის ისეა თემის ფარგლებში შერჩეული, რომ აკმაყოფილებს მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებს და მათ ინტერესებს. განავითარებს მოსწავლეთა ფიზიკურ, შემეცნებით და სოციო-ემოციურ სფეროს. მოსწავლე ჩამოყალიბდება პიროვნებად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა ამისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: პ. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების, დაკვირვების კითხვარების, თვითშეფასების ფორმების საშუალებით დგინდება, რომ შეფასების სისტემა ორიენტირდება არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე, არამედ ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას, როგორიცაა მოსწავლის ჩართულობა სასწავლო პროცესში, რა ფაქტორები უწყობს/უშლის სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას ხელს, ასევე აფასებს გრძელვადიან მიზანზე გასვლის კუთხით მოსწავლის მიღწევის შესაბამისობას კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებთან, საგნის მისაღწევ შედეგებთან მიმართებით. მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები: განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, სადაც იკვეთება სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზებას საშუალება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. შეფასების სისტემა სასკოლო გეგმის ნაწილია და ის წარმოადგენს გამჭვირვალე დოკუმენტს. ხორციელდება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. შეფასების რუბრიკები, ბარათები და სხვა ფორმები არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილიც. მასწავლებლის მიერ შერჩეული შეფასების ინსტრუმენტები შეეესაბამება მოსწავლის საჭიროებებს და სწავლა-სწავლების რესურსებს და დროს. კათედრას შემუშავებული და წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასებები საბაზო საფეხურზე წერითი და ზეპირი დავალებების, ჯგუფური და წყვილებში მუშაობის, საკლასო და საშინაო დავალებების განმსაზღვრელი შეფასებით შესაფასებლად. მომავალშიც გაითვალისწინებენ მოსწავლეზე ორიენტირებული შეფასების სისტემის შექმნას, ან არსებულის დახვეწას. მომავალში აპირებენ შეფასების ახალი შემოთავაზებული ინსტრუმენტების გამოყენებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. მოსწავლის მიღწევების ანალიზი ყოველთვის მიმდინარეობს სხვადასხვა გზითა და საშუალებით. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს კათედრაზე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის წარდგენასა და განხილვაზე, შეფასების რუბრიკების შემუშავებაზე, თუ როგორ ხდება მოსწავლის პროგრესის დანახვა, პროექტებზე (სოციალური/სასწავლო/ ინტეგრირებული), აქტივობები), რომელიც საშუალებას აძლევს რეალურად გაზომონ მოსწავლის მიღწევის ანალიზი, ხარისხის ჯგუფის ფუნქციონირებს აქტიურად და ახორციელებს გაკვეთილებზე დაკვირვება მონიტორინგს აქტივობების შეფასების მექანიზმების გამოყენების მიზნით. დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში პედსაბჭოზე წარადგენს მოსწავლეთა შედგების სტატისტიკურ ანალიზს. მომავალში სკოლა აქტიურად იმუშავებს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმების დახვეწაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

6. სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი, ასევე ხორციელდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში. სკოლაში რეგულაციებით დადგენილი დროით ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც კლასის დამრიგებლებს შეაქვთ მოსწავლეთა შეფასებები. მათზე პასუხისმგებლობა ეკისრება საქმეთა მმართველს. მომავალში მასწავლებლები გააკეთებენ კომპლექსური დავალებების ანალიზებს, შედეგებს განიხილავენ კათედრებზე, იმსჯელებენ გაუმჯობესების გზებზე. განხორციელებული მუშაობა დოკუმენტის სახით შეინახება სამი წლის განმავლობაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- კათედრის ოქმები
- სკოლის სასწავლო გეგმა
- სკოლის სოციალური გვერდი
- სასწავლო პროექტები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში კარგად ჩანს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობა. კათედრის წევრები ურთიერთანამშრომლობენ და ერთობლივად გეგმავენ სხვადასხვა აქტივობას. საბაზო საფეხურზე სხვადასხვა კლასის მოსწავლეები და მასწავლებლები ერთად ახორციელებენ ღონისძიებებს. როგორც პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, მშობლებთან მუდმივად აქვთ კომუნიკაცია, ხოლო მოსწავლეთა ჩართულობით იღებენ გადაწყვეტილებებს. ჩანს, რომ სკოლაში პრიორიტეტულია მოსწავლეთა აზრი. სასკოლო საზოგადოება სრულად იღებს პასუხისმგებლობას მოსწავლის, მშობლის და სასკოლო თემის წინაშე, ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებსა და ინტერესებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სასწავლო პროცესი მორგებულია მოსწავლეზე, სკოლა ყველაფერს აკეთებს მის ხელშესაწყობად. ტარდება სადამრიგებლო საათები, წახალისებულია მოსწავლეთა აქტივობები და მათი წარმატება გაზიარებულია სკოლის მიერ სოციალურ გვერდზე. მრავალფეროვანი სასკოლო და კლასგარეშე ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად მოსწავლის განვითარებაზეა ორიენტირებული. ეროვნული სასწავლო გეგმით და სკოლის მისიით განსაზღვრული მიზნები საბაზო საფეხურის მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევთ, მონაწილეობა მიიღონ ფორმალურ თუ არაფორმალურ ღონისძიებებში. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან, რათა გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა კონკრეტული საჭიროებები. ამ მიზნით მუდმივად აქვთ კომუნიკაცია და უკუკავშირი მათგან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სასწავლო პროცესი თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზეა დაფუძნებული. სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ერთობლივად ძიება. სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის სხვადასხვა პერსპექტივიდან ჩართვას კურიკულუმის შემუშავებაში. სკოლისთვის მახასიათებელი თანამშრომლობა და გუნდურობა სკოლას აქცევს მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიმღებ დაწესებულებად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: პ. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4. სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას, ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობით კავშირებს, რომელიც მოიცავს აკადემიურ და პიროვნულ ზრდას, ზრუნვას, პატივისცემას, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობას და მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში, კათედრამ განახორციელა მრავალი აქტივობა თუ პროექტი სკოლაში პოზიტიური გარემოს შესაქმნელად: სადღესასწაულო, შემეცნებითი ღონისძიებები. მასწავლებლებმა იციან, რომ აქვთ თავიანთი პასუხისმგებლობები და უშუალოდ მონაწილეობენ სკოლისა და მოსწავლეების განვითარებაში. მოსწავლეების ჩართულობით ჩატარებული სოციალური/სასწავლო/ინტეგრირებული პროექტებითა და სხვა ღონისძიებებით ბავშვებს სხვადასხვა უნარის აღმოჩენის, საკუთარ ძალებში დარწმუნების, მეგობრების შეძენისა და თანატოლებთან ურთიერთობის საშუალება ეძლევათ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- სკოლის სასწავლო გეგმა
- სასკოლო ღონისძიებების ამსახველი მასალა

- სკოლის ფეისბუქგვერდი
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- სადამრიგებლო გეგმები;
- ინდ.გეგმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

[redacted] შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [illegible]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლას კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული აქვს მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება. ის წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს. კურიკულუმის განვითარება თავისთავად წარმოადგენს ციკლურ პროცესს, რადგან ჯერ ხდება მისი დაგეგმვა, რასაც მოსდევს განხორციელება და მონიტოინგი/შეფასება/გადაგეგმვა. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან, პროცესებზე დაკვირვებასა და შედეგების ანალიზთან. სკოლის არსებული პრაქტიკა და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. კათედრის ფარგლებში დამკვიდრებული პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება. სემესტრის ბოლო შემაჯამებელ სხდომებზე აჯამებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზების შედეგებს, დირექციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების დინამიკას სემესტრულად. დაკვირვების/მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება ხდება სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად. მასწავლებლების შემთხვევაში ეს გამოიხატება გამოცდილების გაზიარებაში, სასწავლო ჯგუფებში მუშაობასა და ტრენინგებისა და ვებინარების დაგეგმვასა და მონაწილეობაში (გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე), მოსწავლეების შემთხვევაში ეს არის რემედიაციის პროგრამა და დიფერენცირებული სწავლება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება, ერთი მხრივ, როგორც პრობლემის გადაჭრის და, მეორე მხრივ, როგორც რეკომენდაციების პაკეტის შემუშავების საშუალება, რომელიც გამოყენებული იქნება ახალ სასწავლო წელს უკეთესი სასწავლო შედეგების მისაღებად. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი ყველა სტატუსის მქონე მასწავლებელს ესწრება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და ადგენს მათ საჭიროებას, აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. სკოლაში ასევე მუშაობს ლიდერ მასწავლებელთა ინსტიტუტი. ლიდერი მასწავლებლები მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეკრებებზე გეგმავენ გაკვეთილებს, ატარებენ და შემდეგ განიხილავენ შედეგებს არსებულ პრობლემებს და გეგმავენ განვითარების გზებს. ამრიგად, სკოლაში სასწავლო პროცესზე დაკვირვების სხვადასხვა მიმართულების მიზანი ერთია, მოახდინოს შეფასება და განსაზღვროს პრობლემის გადაჭრის გზა. დაეხმაროს მასწავლებელსა და მოსწავლეს სირთულის დაძლევაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** .

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრების ოქმები.
- სკოლის სამოქმედო გეგმა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კომპლექსური დავალებები, მოსწავლეთა ნამუშევრები) მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებულია მოსწავლის წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების როლი, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მშობელს და თავად მასწავლებელს მიიღოს/დააგროვოს ინფორმაცია სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ. სკოლა შეფასების პროცესში იყენებს სხვადასხვა საშუალებას: მაგ: საშინაო დავალების შეფასების რუბრიკას, საკლასო, თვითშეფასების, კომპლექსური დავალების, SOLO ტაქსონომიის რუბრიკებს, მარტივი კვლევითი აქტივობების შეფასების რუბრიკებს, პრეზენტაციის, შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს.

2. მასწავლებელები სხვადასხვა კონტექსტში იყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს, რათა კარგად წარმოჩნდეს მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტერესები და შესაძლებლობები. სკოლამ წარმოადგინა საკმაოდ მრავალფეროვანი რუბრიკები, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი. ისინი ცხადყოფს, რომ მასწავლებლები საბაზო საფეხურზე საშუალებას აძლევენ მოსწავლეებს, გამოხატონ თავიანთი შესაძლებლობები ყველა მიმართულებით. გათვალისწინებულია ასევე მოსწავლეთა თვითშეფასება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. მონაცემთა შესაგროვებლად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ტესტები, ზეპირი დაკვირვება, ფოკუსირებული დაკვირვება, ასევე კითხვა-პასუხი. ეს ყოველივე ერთიანდება იმისათვის, რომ მთლიანად კლასთან მიმართებით დაიწეროს კომენტარი, რა დონეს მიაღწია თემის ფარგლებში, არის თუა არა ეროვნული სასწავლო გეგმის დაძლევის დროს პროგრესი, სამიზნე ცნებებთან მიმართებით. პედაგოგები ახორციელებენ მონიტორინგს მოსწავლეთა სწავლაზე და შეძლებისდაგვარად აწვდიან მათ უკუკავშირს. მასწავლებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

ინფორმაციას მოსწავლის შესახებ აგროვებს მოსწავლის, მისი თანატოლების, მშობლების, მასწავლებლების, დამრიგებელს და სკოლის სხვა პერსონალის გამოკითხვის შედეგად. რათა მიიღოს მეტი ინფორმაცია მოსწავლის შესახებ და გაითვალისწინოს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს, თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში. ამრიგად, მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს, ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები
- კათედრის ოქმები
- კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

[x] შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი და ცალკე დოკუმენტად აქვს წარმოდგენილი ,,კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია". პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული, როგორ უნდა გაიწეროს ვადები კურიკულუმის განვითარების ეტაპების შესაბამისად, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების აუცილებლობა, ვერიფიკაცია, ინაწილებენ პასუხისმგებლობებს. მაგალითად: **ქართული ენისა და ლიტერატურის** კათედრის მიერ ხდება წლის განმავლობაში განხორციელებული კურიკულუმის რევიზია და ანალიზი, რომლის ფარგლებშიც სასკოლო საზოგადოება განიხილავს განვლილი სასწავლო წლის მუშაობას, განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს, წარმოქმნილ სირთულეებს, მიღებულ შედეგებს, ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლა წარმატებით ითვალისწინებს ,,ახალი სკოლის" მოდელის მოთხოვნებს, ამიტომ პედაგოგებს კურიკულუმების შემუშავებისა და მათ განხორციელების საკმაოდ დიდი გადმოცდილება აქვთ. გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე ცოდნასა და საკუთარ პრაქტიკაზე დაკვირვების საფუძველზე გამოტანილ დასკვნებს. აგრეთვე, მიღწეულ საუკეთესო შედეგებს.სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის განვითარებისათვის და სკოლის საჭიროებაზე მორგებისათვის წინა წლის მიღებული მტკიცებულებები და ის საჭიროებები, როლებიც გამოიკვეთა სასწავლო პორცესში, ასახოს მომდევნო წლის კურიკულუმში, რაც მოსწავლის განვითარებისათვის იქნება ხელისშემწყობი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- კომპლექსური დავალებები
- კურიკულუმიის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

[x] შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [signature]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონ შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კოპმონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასე	■ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა კურიკულუმის მეთოდოლოგიის შემუშავებისთვის ავლენს სასკოლო საზოგადოების შეხედულებებს, შესაძლებლობებს, პრიორიტეტებს, ინტერესებს სხვადასხვა მეთოდით, როგორებიცაა: მოსწავლეზე დაკვირვება, კითხვარების გამოყენება, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ვერსიით, გასაუბრებით, მშობელთა კრებებზე „გონებრივი იერიშის მეთოდით“ პრიორიტეტების გამოვლენა, მშობელთა წინადადებების გათვალისწინებით. სკოლის დირექცია ითვალისწინებს მოსწავლეთა და მშობელთა შეხედულებებს, საჭიროებებს და განიხილავს კათედრების სხდომებზე. სასკოლო საზოგადოების მხრიდან, მშობელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

კრებებზე კითხვარების საშუალებით გამოვლინდა მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები, მათი სუსტი და ძლიერი მხარეები, რომელთა გათვალისწინებით დაიგეგმა სასწავლო პროცესი. 2023-2024 სასწავლო წელს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, პრიორიტეტების გათვალისწინება მოხდება წინასწარ შემუშავებული მექანიზმებით: დაკვირვება, ფოკუსჯგუფი, ინტერვიუ, გამოკითხვა, დახურული კითხვები, რომლებიც აისახება სასკოლო გეგმაში და რეფლექსიის, უკუკავშირის საფუძველზე მოხდება გამოვლენილი პრიორიტეტების კურიკულუმებში ასახვა-გათვალისწინება. უცხოური ენების კათედრა აქტიურ მონაწილეობას იღებს ამ პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, მასწავლებელთა მიერ შექმნილ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში, კურიკულუმის ჩარჩოთი განსაზღვრული პროექტის იდეებში იკითხება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც გულისხმობს სწავლა–სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებსა და კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას. გამოცდილებაზე დაფუძნებულ, ახლადშემუშავებულ კურიკულუმში გამიზნული ურთიერთთანამშრომლობითი კულტურის განმტკიცება, სასკოლო საზოგადოების ნაყოფიერი ჩართულობა, სხვადასხვა პროექტის, შემოქმედებითი აქტივობების გამოცდილება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას უზრუნველყოფს. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნა, რომ აქვს გამოცდილება მშობელთა ჩართულობის სხვადასხვა აქტივობებსა თუ პროექტებში, სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში საშუალო საფეხურზე აუცილებლად ითვალისწინებს საზოგადოების (მოსწავლეთა/კათედრის წევრების და სხვ.) ინტერესებს, ამ პროცესს ხელს უწყობს წინასწარ დაგეგმილი შეხვედრები კათედრის წევრებთან და მშობლებთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. სასკოლო საზოგადოება მთლიანად არის ჩართული კურიკულუმების შემუშავების პროცესში. თვალსაჩინოა კათედრის წევრებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა, არამედ კათედრათაშორისი ურთიერთობები. როგორც საშუალო საფეხურის მასწავლებლებმა ინტერვიუსას განაცხადეს, კურიკულუმების პრეზენტაციებს ეცნობა ყველა პედაგოგი, ერთმანეთთან შეთანხმებით დგინდება შესასწავლი თემები და საკითხები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, იგეგმება კომპლექსური დავალებების იდეები და მათი განხორციელება, საჭირო ძირითადი რესურსების შესწავლა საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, კათედრაზე ერთად მუშავდება შეფასების ინსტრუმენტები. სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, არის საჯარო დოკუმენტი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

(გარდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა). ის წარედგინება სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. შესაბამისად მის დამტკიცებაშიც მონაწილობს სასკოლო საზოგადობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლების ფარგლებში შემუშავებული კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის. კათედრაზე ყველა მასწავლებელს გათავისებული აქვს ცნებების თეორიაზე დაფუძნებული სწავლა–სწავლების სიკეთეები და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები. სკოლა გეგმავს, მას შემდეგ, როცა მომდევნო სასწავლო წლის სექტემბრიდან სრულყოფილი საგნობრივი კურიკულუმი გაზიარდება სასკოლო საზოგადოებაში, იგი, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, გასაჯაროვდება მეტად ფართოდ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მომავალში კათედრის მიერ დაგეგმილი მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობის გაზრდა, სკოლაში არაფორმალური განათლების ხელისშემწყობ ფაქტორად ესახებათ. მასწავლებელთა ინტერვიუებიდან ჩანს, რომ პროექტული სწავლების ფარგლებში შექმნილი კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრებთან: კათედრაზე, მშობლებთან საინფორმაციო შეხვედრების სახით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა.
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები.
- სკოლის სოციალური გვერდი.
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურზე სკოლამ წარმოადგინა მე-10 , მე-11 და მე-12 კლასების კურიკულუმები. წარმოდგენილ დოკუმენტებში კარგად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის გზები და მათ განვითარებაზე ზრუნვა, რასაც განაპირობებს კურიკულუმში გაწერილი ყველა სამიზნე ცნების დამუშავება. სკოლას ასევე ნაჩვენები აქვს შუალედური მიზნები შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. დოკუმენტებში წარმოდგენილია ის ძირითადი რესურსებიც, რომელთა დახმარებითაც მიიღწევა სასურველი შედეგები. სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა, რომ მის მიერ შემუშავებული კურიკულუმები უზრუნველყოფდეს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და მის განვითარებას. **ესთეტიკური საგნების** კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ 2023-2024 სასწავლო წელს მე-11 კლასში პროექტული სწავლება დაინერგება მუსიკის საგანში, სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეარჩევს განსახორციელებელ პროექტებს და გაწერს კურიკულუმის ჩარჩოში. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
2. სკოლის მიერ შემდგომი სასწავლო წლისათვის გააზრებული და გაწერილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სავალდებულო თემის ფარგლებში შერჩეული საკითხის საშუალებით საგნებში მუშავდება კონკრეტული სამიზნე ცნება/ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რისთვისაც მასწავლებელი არჩევს შესაბამის რესურსებს, დაგეგმილი პროცესი საინტერესო და მიზანმიმართულია, რაც ასევე იძლევა საშუალებას გააქტიურდეს მოსწავლის გლობალურ-ფუნქციური უნარები. რომლითაც მოსწავლე სწავლობს ფორმალური თუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

არაფორმალური სწავლის პროცესში. ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითობა სჭირდება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს მზაობა კურიკულუმები მიმართოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებები და შედეგები), პროცესში გააქტიუროს მოსწავლის გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი) და განუვითაროს მოსწავლეს გამჭოლი კომპეტენციები (მაკროცნება). **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. იკვეთება კონკრეტულ მოსწავლეთა საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირება. სკოლის სასწავლო გეგმაში კარგად ჩანს საკითხის პრიორიტეტულობა და ისიც, რომ სკოლის მართვის პოლიტიკა თვალყურს ადევნებს სსსმ მოსწავლეთა ინდ. გეგმების შემუშავებას. სკოლამ ცალკე დოკუმენტად წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, სადაც გრაფიკთან ერთად დეტალურადაა გაწერილი განსახილველი საკითხები, მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების მითითებით. ამასთან ერთად, მტკიცებულებად გვხვდება სპეცმასწავლებლის ანგარიში 2022-2023 სასწავლო წელს ჩატარებული სამუშაოების შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. საშუალო საფეხურის ყველა კლასში სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს. სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ზოგადი სახით. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დროს გეგმავენ კონკრეტულ საკითხებთან შესაბამის შეფასების რუბრიკებს. კარგად იცნობენ შეფასების ინსტრუმენტებს, იყენებენ სოლოტაქსონომიას. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში დანერგილია შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები და ისინი ყოველთვის მიზნობრივად იყენებენ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. საშუალო საფეხურზე კურიკულუმის დაგეგმვის პროცესი ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და, როგორც ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, ეფუძნება მისი ანალიზისას გამოტანილ დასკვნებს. ისინი სისტემატურად ესწრებიან ერთმანეთს და ერთად განიხილავენ უკეთესი შედეგების მიღწევის შესაძლებლობებს. ატარებენ დიაგნოსტიკურ ტესტებს, რომელთა შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

ამსახველი დოკუმენტაცია მტკიცებულებადაა წარმოდგენილი. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით იგეგმება სამომავლო ინიციატივები. ეს საკითხები ასახულია კათედრის ოქმებშიც, რომლებიც სკოლამ ასევე მტკიცებულებად წარმოადგინა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
- შეფასების რუბრიკები
- სკოლის სამოქმედო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- კათედრის ოქმები
- განხორციელებული გაკვეთილის გეგმა საგანში ისტორია (მე-12 კლასი)
- განხორციელებული გაკვეთილის რეფლექსია
- სასკოლო პროექტი
- კათედრის ანგარიში
- მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტები (სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა)
- ინდ. სასწავლო გეგმები
- სამოქალაქო განათლების კლუბის წესდება
- სპეციალური მასწავლებლის და მასწავლებლის მიერ განხორციელებული პროცესის ანგარიში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.3.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივი (ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს პროექტული სწავლებით, საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტაქტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი პროექტები, მისი კონტექსტ-მაგალითები, მრავალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეები სავალდებულო პროექტის ფარგლებში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა აქტივობაში, იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით, რომლებიც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლაში ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; კურიკულუმის განხორციელებისას გათვალისწინებულია ცოდნის დაშენება წინარე ცოდნაზე. ეს ჩანს მოცემულ ჩარჩოებში, რომლებშიც წარმოდგენილი საკითხები ააქტიურებს მოსწავლეთა ცოდნას და ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას. პროცესი თემატურადაა დაგეგმილი. ამასთანავე, კომპლექსური დავალებების იდეებიდან ჩანს, რომ პირობები ისეა ჩამოყალიბებული, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოიტანოს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია როგორ მუშაობენ საშუალო საფეხურზე სკოლის პედაგოგები მოსწავლეების ,,სწავლის სწავლის“ უნარზე. ამის მაგალითია კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტებში მოცემული კონტექსტმაგალითები, რომლებიც საშუალებას იძლევა ნაცნობ კონტექსტზე დაყრდნობით მოსწავლემ მიიღოს ახალი ცოდნა და გამოცდილება. ზოგადად, კომპლექსური დავალებების სპეციფიკა იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას, ამიტომ ამგვარი ტიპის დავალებების წარმოდგენა სკოლის მიერ საფუძველს იძლევა, დავასკვნათ, რომ მოსწავლეები იღებენ კონკრეტული ამოცანის მოთხოვნებს, ეძებენ მათი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიებს და არეგულირებენ საკუთარ სასწავლო გამოცდილებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სწავლება საგნობრივ პროგრამებში ცოდნის სამ კატეგორიაზეა (დეკლარატიული, პირობისეული და პროცედურული) ორიენტირებული. ცოდნის სამივე კატეგორიის გასავითარებლად სკოლა მიზანმიმართულად მუშაობს შუალედური მიზნებით, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე; ხორციელდება პროექტები, კომპლექსური დავალებების პრეზენტაციები, ექსკურსიები. სკოლაში შექმნილია კომპლექსური დავალებების გამოფენები. ინგლისურ ენაში განხორციელებული კომპლექსური დავალებების პროდუქტები სოლიდურ ადგილს იჭერს ამ გამოფენაში. სამომავლოდ, სკოლა აქტიურად გაარძელებს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროექტულ და კომპლექსური დავალებებით სწავლებას და მიღებული პროდუქტის დოკუმენტაციებში ასახვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: პ. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

5. კომპლექსური დავალების იდეა კურიკულუმში მოწოდებულია იმ ფორმით, რომ მისი შესრულება მოსწავლეების მხრიდან მოითხოვს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და დაორგანიზებას, გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მასწავლებლები გაკვეთილზე ინტენსიურად ახდენენ წინარე ცოდნის საშუალებით გააქტიურონ ახალი ცოდნა და მოახდინონ თემის ფარგლებში ახალი იდეების გენერირება, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარებას. ფუნქციურ კომპონენტური უნარის გააქტიურობას და მათემატიკის გამჭოლ კომპეტენციაზე გასვლას, რაც თავის მხრივ მოსწავლეს ეხმარება ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- განხორციელებული გაკვეთილის გეგმა
- განხორციელებული გაკვეთილის რეფლექსია
- სასკოლო პროექტი

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: პ. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმში პროექტული სწავლება, სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემას საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (პროექტები) აზუსტებს სამიზნე ცნების/ ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი საშუალო საფეხურზე უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. საშუალო საფეხურის საგნობრივ (პროექტული სწავლება) ჩარჩო კურიკულუმში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, პროექტის თემები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული პროექტის თემები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას უწევთ თვითგამოხატვა. წარმოდგენილი მტკიცებულებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლაში არსებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს. სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასებისების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში. მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ შემუშვებული აქვთ სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების კრიტერიუმები: პრეზენტაციის, რეფერატის, დისკუსიის, ინტერვიუს, ზეპირი მოხსენების და ა. შ. წარმოდგენილი კრიტერიუმები უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების ობიექტურ შეფასებას. გასაუბრებისას პედაგოგებმა ისიც აღნიშნეს, რომ პრაქტიკაში ყოველთვის იყენებენ ჯგუფური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: პ. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მუშაობის შეფასების რუბრიკებს და ახალი სასწავლო წლისთვის მზად არიან თემების შესაბამისად შეადგინონ ისინი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. საშუალო საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებებს. წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ, ვალიდურ და გამჭირვალე შეფასებას. ცალ-ცალკე და დეტალურადაა გაწერილი სხვადასხვა ტიპის დავალების შეფასების კრიტერიუმები ქულებთან ერთად. სკოლას აქვს შემუშავებული ასევე განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ყოველთვის ცდილობენ ობიექტურ უკუკავშირს და გამოთქვეს მზაობა რუბრიკებში წარმოადგინონ შეფასების კრიტერიუმები თითოეულ კომპლექსურ დავალებასთან მიმართებაში ახალი სასწავლო წლისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. სკოლაში კათედრები ერთობლივად ქმნიან შეფასების რუბრიკებს, რომლებიც იქმნება გრძელვადიან მიზანზე ორიენტირებით, ხდება რუბრიკების ეფექტიანობაზე დაკვირვება და შეფასება კათედრის ფარგლებში, ასევე მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და ერთმანეთისთვის რეკომენდაციების მიცემა. ამ მხრივ მასწავლებლებს სკოლის დირექციაც უწევს მხარდაჭერას, რისი დამადასტურებელიც არის კათედრის ოქმები. არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, სკოლა აპირებს შექმნას ერთიანი ვერიფიკაციის მექანიზმი, სადაც გაიწერება ვერიფიკაციის პროცესი, რომელიც განხორციელდება სკოლის დირექციის, კათედრების ხელმძღვანელების და ხარისხის ჯგუფის ხელმძღვანელის ჩართულობით შემდეგი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლას შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის ვადები არცერთ შიდამარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი არ აქვს, თუმცა სკოლა ელექტრონული ჟურნალისა და მოსწავლეთა პირადი საქმების საშუალებით უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია..**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- სკოლის სასწავლო გეგმა
- სკოლის სოციალური გვერდი
- შემაჯამებელი ტესტის ნიმუში.
- სასწავლო პროექტები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში კარგად ჩანს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობა. კათედრის წევრები ურთიერთანამშრომლობენ და ერთობლივად გეგმავენ სხვადასხვა აქტივობას. საშუალო საფეხურზე სხვადასხვა კლასის მოსწავლეები და მასწავლებლები ერთად ახორციელებენ ღონისძიებებს. როგორც პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, მშობლებთან მუდმივად აქვთ კომუნიკაცია, ხოლო მოსწავლეთა ჩართულობით იღებენ გადაწყვეტილებებს. ჩან, რომ სკოლაში პრიორიტეტულია მოსწავლეთა აზრი. სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

საზოგადოება სრულად იღებს პასუხისმგებლობას მოსწავლის, მშობლის და სასკოლო თემის წინაშე, ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებსა და ინტერესებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლესა და მის შესაძლებლობებზე, სკოლა ზრუნავს ხელი შეუწყოს მოსწავლის, თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, ჩართულობას და თვითრეალიზებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ერთობლივად ქმნიან მთელი წლის სამუშაო გეგმას, რომელიც თითოეული მოსწავლეთა საჭიროებებზეა გათვლილი და აგებულია უპირველესად თანასწორობის პრინციპზე. კათედრა აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას, როგორებიცაა: გამოფენები სხვადასხვა თემატიკაზე, ინტელექტუალურ-შემეცნებითი პროექტები, ცნობიერების ამაღლების მიზნით სხვადასხვა აქტივობა, საქველმოქმედო ღონისძიებები, შეხვედრები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სასწავლო პროცესი თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზეა დაფუძნებული. ეს კარგად ჩანს როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში, ისე მასწავლებლებთან პირისპირ შეხვედრისას. ისინი გუნდურად გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა სასწავლო და შემეცნებით აქტივობას, ითვალისწინებენ მოსწავლეთა უკუკავშირს, მჭიდროდ ურთიერთობენ მშობლებთან, ატარებენ გამოკითხვას, ითვალისწინებენ მათგან მიღებულ ინფორმაციას, რაც ადასტურებს ამ მიმართულებით მუშაობის ეფექტიანობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** .

4. კათედრაზე არსებობს თანამშრომლობითი კულტურა, ხდება გამოცდილების გაზიარება, ასევე ეფექტურის კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და დირექციასთან, მათ შორის არსებობს კარგი კომუნიკაცია. კათედრას აქვს სკოლაში მიმდინარე პროცესებში ჩართვის მაღალი შესაძლებლობები. ასევე წარმოდგენილ სადამრიგებლო პროგრამებში ჩანს, რომ კლასის დამრიგებლების მუდმივი ზრუნვის საგანია პოზიტიური კლიმატის შენარჩუნება კლასის დონეზე, რაც თავისთავად შემდგომ პოზიტიურ ასახვას ჰპოვებს სკოლის დონეზეც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- სკოლის სასწავლო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

- სასკოლო ღონისძიებები
- საგნობრივი კურიკულუმები
- სკოლის ფეისბუქგვერდი
- შეფასების რუბრიკები;
- სადამრიგებლო გეგმები;
- ინდგეგმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლას კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული აქვს მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება. ის წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს. კურიკულუმის განვითარება თავისთავად წარმოადგენს ციკლურ პროცესს, რადგან ჯერ ხდება მისი დაგეგმვა, რასაც მოსდევს განხორციელება და მონიტორინგი/შეფასება/გადაგეგმვა. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან, პროცესებზე დაკვირვებასა და შედეგების ანალიზთან. სკოლის არსებული პრაქტიკა და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება. კათედრები სემესტრის ბოლო შემაჯამებელ სხდომებზე წარმოადგენენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზების შედეგებს, დირექციის წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების დინამიკას სემესტრულად. დაკვირვების/მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება ხდება სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად. მასწავლებლების შემთხვევაში ეს გამოიხატება გამოცდილების გაზიარებაში, სასწავლო ჯგუფებში მუშაობაში და ტრენინგებისა და ვებინარების დაგეგმვასა და მონაწილეობაში (გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე), მოსწავლეების შემთხვევაში ეს არის რემედიაციის პროგრამა და დიფერენცირებული სწავლება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. სასკოლო საზოგადოება იცნობს მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებს და იყენებს მას კურიკულუმის შექმნის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების გადასაჭრელად და ახდენს მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზს.სკოლა საფეხურზე გეგმავს განახორციელოს მონიტორინგისა და შეფასების პროცესი და ანალიზში ასახოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ფკალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც ასახული უნდა იყოს ცვლილებების სახით. მასწავლებლის ან კათედრის წევრების დაკვირვებითა და შეფასების გათვალისწინებით განისაზღვრება პრობლემა, გასაუმჯობესებელი მიმართულებები, კათედრის წევრები კი ერთობლივად სახავენ მისი გადაჭრის, მოგვარების გზებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
- კათედრის ოქმები
- კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასწავლო ჯგუფების ანგარიშები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა იყენებს შეფასების მრავალფეროვან წყაროებს. კერძოდ, მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) ანალიზით ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება, ხოლო მოსწავლეთა ინტერესებზე, მათ არასასკოლო აქტივობებში ჩართულობაზე ინფორმაციას აგროვებს დამრიგებელი, სკოლის მიერ დაგეგმილ არაფორმალურ აქტივობებსა და პროექტებში მონაწილეობაზე მოსწავლესთან დაკავშირებული ინფორმაცია თავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

იყრის შესაბამის აქტივობების/პროექტების ხელმძღვანელთან, რაც ერთობლივად წარმოადგენს მოსწავლის ჰოლისტურ დახასიათებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლაში ამ მიმართულებით არა ერთი კვლევა განხორციელდა. კვლევის შედეგების, ანალიზის, ძირითადი მიგნებების, რეკომენდაციების საშუალებით განხორციელდა მომდევნო სასწავლო პროცესი. მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მოპოვებული იქნება ინფორმაცია, ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტულობაზე მოახდენს გავლენას, იქნება ეს სკოლა, თანატოლებთან ურთიერთობა, ოჯახი, თემთან ურთიერთობა თუ მოსწავლის ფსიქო-სოციალური მდგომარეობა. სკოლა ამ მიმართულებით მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. მომავალი სასწავლო წლიდან საშუალო საფეხურზე სკოლა გეგმავს დანერგოს მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები, რომლის საფუძველზეც მოხდება ინფორმაციის დამუშავება, დახარისხება, რაც საშუალებას მისცემს სკოლას შეფასების ჰოლისტური მიდგომებით დააბალანსოს და გამოკვეთოს თითოეული მეთოდის სუსტი და ძლიერი მხარეები. კათედრის წევრებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ საშუალო საფეხურის მოსწავლის შეფასებისას მასწავლებელი მხოლოდ მის შექმნილ პროდუქტს არ აკვირდება, ითვალისწინებს მოსწავლის წინარე ცოდნას, ინტერესებს, ემოციებს, დამოკიდებულებას საკითხის, საგნის მიმართ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს, თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში. ამრიგად მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს, ასევე გარემამოტივირებელ ფაქტორებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები
- საგნობრივი კურიკულუმები
- კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

[x] შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმი მტკიცდება ყოველ ახალ სასწავლო წელს. კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზების შედეგად შემუშვებული სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომელიც ეფუძნება სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის, მოსწავლეთა შედეგების, მშობელთა ჩართულობის, კათედრებისა და დირექციის მუშაობის შეფასების შედეგებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. აღნიშნული პაკეტის შემუშავება ეფუძნება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი სასწავლო პროცესის თანამდევია და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- კომპლექსური დავალებები
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

☐ არ შეესაბამება

2023 წელი 16 ოქტომბერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------